პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ თებერვალი, 2020 წელი　　　　　　　　　　　　　　　　　　　　ქალაქი ბათუმი

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა, თანდართული სახით.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმის განხორციელება.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე　　　　　　　　　　　　　　　　　　　　სულიკო თებიძე

## განმარტებითი ბარათი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

### „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი 2018 წლის 18 იანვარს მიუერთდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივას - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG), რითაც აიღო ვალდებულება მოემზადებინა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა (LED), ადგილობრივი ეკონომიკურ განვითარებისა და რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ხელშეწყობის მიზნით.

ქ. ბათუმის მერიის მიერ გეგმა მომზადდა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივის სამდივნოს მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად, ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებისათვის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში შეიქმნა LED ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ქ. ბათუმის მერიის (2), სამოქალაქო საზოგადოების (1) და ბიზნეს სექტორის (1) წარმომადგენლებისაგან.

გეგმის შემუშავების პირველ ეტაპზე განხორციელდა იმ დაინტერესებული მხარეების რუკის შედგენა, რომლებიც მონაწილეობენ და აქტიურ გავლენას ახდენენ ქ. ბათუმის ეკონომიკური განვითარებაზე. სამუშაო პროცესში ჩართული იყვნენ შემდეგი დაინტერესებული მხარეები: 1. აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; 2. აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი; 3. აჭარის არ დასაქმების სააგენტო; 4. აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატა; 5. უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები; 6. სსო-ები; 7. ბიზნეს ინკუბატორი; 8. ბათუმის ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. სამუშაო პროცესში სხვადასხვა მიმართულების ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა ჩართვის პროცესის გამარტივება განაპირობა LED ჯგუფში აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჩართულობამ, რომელიც აერთიანებს 21 თემატური ბიზნეს ასოციაციას, შესაბამისად გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია, ასევე უკუკავშირი ოპერატიულად მიიღებოდა ბიზნესის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებისგან.

გეგმის მომზადების პროცესში ჩატარდა 11 შეხვედრა, ამათგან 3 შეხვედრა ჩატარდა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან (მათ შორის მეწარმეები, სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები, პროფესიული და ბიზნეს ასოციაციები), ადგილობრივი ეკონომიკისა და გეგმის თემატური ბლოკების განხილვის, გამოწვევებისა და პერსპექტივების შეფასების, SWOT ანალიზის, ხედვისა და მიზნების, სამოქმედო გეგმის შედგენისა და მათი მხრიდან შესაბამისი უკუკავშირის დადგენისათვის. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა კომუნიკაცია სამუშაო ჯგუფის წევრებსა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს შორის ინფორმაციის დამუშავებისა და კორექტირებისათვის. შეხვედრების შემდეგ ხშირი იყო დამატებითი შეხვედრების ინიციატივები და სატელეფონო კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული საფუძველზე მომზადდა ქალაქ ბათუმის ეკონომიკური განვითარების გეგმის 2019-2020 სამუშაო ვერსია, რომელიც დადებითად შეფასდა ევორკავშირის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სამდივნოს მიერ, ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გაიგზავნა მსოფლიო ბანკში შესაფასებლად.

ქალაქ ბათუმის ეკონომიკური განვითარების გეგმა 2019-2020 მსოფლიო ბანკის მიერ შეფასდა როგორც ერთ-ერთი საუკეთესო და 2019 წლის 30 სექტემბერს ევროკავშირის სამდივნოს წარმომადგენლებთან, პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში,

გამართულ შეხვედრაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გადაეცა შესაბამისი სერტი-ფიკატი.

გეგმის შესრულების მიმდინარეობის ზედამხედველობის მიზნით შექმნილია მონიტო-რინგის ჯგუფი, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და საჯარო სექტორის წარმომადგენ-ლებისგან. ჯგუფის მიერ 2020 წლის იანვარში მომზადდა ეკონომიკური განვითარების გეგმით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის შესრულების პირველი ფაზის ანგარიში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმის დამტკიცება.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

ადგილობრივი და პარტნიორი ორგანიზაციების ბიუჯეტი.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

ეკონომიკური განვითარების გეგმით გათვალისწინებული რიგი ღონისძიებების განხორციელებისთვის (მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში) აუცილებელი ხარჯები გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სამდივანო;

მსოფლიო ბანკი

ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები (მათ შორის მეწარმეები, სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები, პროფესიული და ბიზნეს ასოციაციები);

საჯარო სტრუქტურები: აჭარის ა/რ ფინანსთა და ეონომიკის სამინისტრო, აჭარის ა/რ ტურიზმის დეპარტამენტი, აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოსთან

**ე) პროექტის ავტორი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური პოლიტიკის
სამსახურის უფროსი ეთერ ლომაძე

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
# ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა



ბათუმი, საქართველო

## ქალაქ ბათუმის მერის მიმართვა



ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბათუმი საქართველოს მუნიციპალტეტებს შორის მაღალი ეკონომიკური ზრდით გამოირჩევა, რაც განპირობებულია ტურიზმის სექტორის სწრაფი განვითარებით, უძრავ ქონებაში ინვესტირების ზრდით და სამშენებლო სექტორის გააქტიურებით. ქვეყანაში სიდიდით და მნიშვნელობით მეორე ქალაქის სტატუსის მიღწევის შემდეგ, ბათუმი დადგა ეკონომიკის დივერსიფიკაციის, ქალაქის სივრცით განვითარების, ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციების საზოგადოების განვითარებასა და ქალაქის კონკურენტუნარიანობასთან სინქრონიზაციის აუცილებლობის წინაშე.

ევროკავშირის ინიციატივა - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ქალაქისათვის, რომელზე მიერთებითაც ბათუმმა აიღო ნებაყოფლობითი ვალდებულება ევროპული გამოცდილების გაზიარების საფუძველზე ხელი შეუწყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას კერძო სექტორის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. გეგმის მომზადების პროცესში შეიქმნა ახალი პარტნიორობები, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა ბათუმის მუნიციპალიტეტი და მრავალფეროვანი გახადა ბიზნესის განვითარების, დასაქმების სტიმულირებისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები. გარდა ადგილობრივ დონეზე პარტნიორობის ჩამოყალიბებისა, აღნიშნული გეგმა გახდება საფუძველი ეკონომიკური განვითარების მიმართულებით არსებული საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურების და ახალი კავშირების დასამყარებლად.

მსურს მადლობა გადავუხადო ბიზნესის, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, ასევე იმ საჯარო უწყებებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს აღნიშნული გეგმის მომზადებაში და თავის მხრივ, გამოიჩინეს ინიციატივა მონაწილეობა მიიღონ ქალაქ ბათუმის ეკონომიკური განვითარებაში, რაც პარტნიორობის საფუძველზე ერთობლივად განსახორციელებელ პროექტებსა და ღონისძიებებში გამოიხატება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელით, გამოვხატავ მზაობასა და სურვილს, პირადად და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გუნდის საშუალებითა და პარტნიორების მხარდაჭერით, ხელი შევუწყოთ წინამდებარე სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას, რაც თავის მხრივ დაგვეხმარება, რომ ბათუმი გახდეს არამხოლოდ ქვეყნის, არამედ რეგიონის მასშტაბით მნიშვნელოვანი ტურისტულ-ეკონომიკური ცენტრი, რომელიც მოქალაქესა და ვიზიტორს სთავაზობს მაღალი სტანდარტების საცხოვრებელ და დასასვენებელ გარემოს, ხოლო ბიზნესით დაინტერესებულ პირებს - გამართულ ინფრასტრუქტურასა და მუნიციპალიტეტთან ურთიერთობის მოქნილ მექანიზმებსა და სერვისებს.

პატივისცემით,
ლაშა კომახიძე
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ, მიმართოთ:**
**სახელი, გვარი:** ეთერ ლომაძე
**თანამდებობა:** ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი
**მისამართი:** ლუკა ასათიანის ქ. 25, ბათუმი 6010, საქართველო
**ტელეფონი:** +995 577201170
**ელ.ფოსტა:**
**ვებ გვერდი:** www.Batumi.ge

## 1. მოკლე შეჯამება

ბათუმი არის რეგიონული მნიშვნელობის საპორტო და ტურისტული ქალაქი, ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში საქონლის გადამუშავების, დასაწყობებისა და განაწილების თვალსაზრისით. ბათუმი კარიბჭეა ევროპასა და აზიას, ევროკავშირსა და რუსეთს, თურქეთს, ირანს, უკრაინას, აზერბაიჯანს და სომხეთს შორის. ბათუმი ცნობილია როგორც კურორტი და ტურიზმი ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი დარგია, რომლის მნიშვნელოვანი როლიც განპირობებულია სასტუმროებისა და რესტორნების, ასევე სასტუმროს სექტორში განხორციელებული ინვესტიციების დიდი წილით დასაქმების მიმართულებით. ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურაში ასევე მნიშვნელოვანი წილი უჭირავს ვაჭრობას, მშენებლობას, მრეწველობას, ტრანსპორტისა და კომუნიკაციებს, რომლებიც ასევე დიდ ინდუსტრიას წარმოადგენს დასაქმების თვალსაზრისით.

ეკონომიკური განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენს ქალაქის სივრცით-ტერიტორიული განვითარების დოკუმენტაციის არარსებობა, სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსი, უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის არასაკმარისი ორიენტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სამეწარმეო უნარ-ჩვევებისა და თანამედროვე მართვისა და ადმინისტრირების ცოდნის დაბალი დონე, საბანკო და სადაზღვეო პროდუქტების ნაკლებად ხელსაყრელი პირობები მეწარმეთათვის, სერვისების ხელმისაწვდომობისა და მიწოდების დაბალი ხარისხი. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მთავარ საფრთხეებს წარმოადგენს: კვალიფიციური შრომითი რესურსის გადინება, სავალუტო კურსის არასტაბილურობა, მოუწესრიგებელი მიწათსარგებლობა, კლიმატური ცვლილებების უარყოფითი ზეგავლენა ქალაქის ინფრასტრუქტურაზე, გლობალური ეკონომიკური რყევები და კრიზისები.

დაინტერესებულ მხარეებთან ერთად შემუშავებული ხედვის მიხედვით **ბათუმი იქნება რეგიონის[1] მასშტაბით საცხოვრებლად და ვიზიტორთათვის მიმზიდველი ქალაქი ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტირებული მზარდი ეკონომიკით.** ქალაქის საშუალოვადიან მიზნებს წარმოადგენს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება და ინვესტიციების ზრდა; სამეწარმეო და ინოვაციური უნარების განვითარება, დასაქმების სტიმულირება; ქალაქის ტურისტული და საინვესტიციო ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო არეალზე.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი დაინტერესებულ მხარეებთან ერთად გეგმავს: ქალაქ ბათუმის სივრცით ტერიტორიული მოწყობის დოკუმენტაციის შემუშავებას, ელექტრონული სერვისების დანერგვასა და ბიზნესის მომსახურების „ერთი ფანჯრის“ პრინციპის ამოქმედებას, ბიზნეს სექტორისათვის სახელმწიფო/მუნიციპალური ქონების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის ხარისხის გაუმჯობესებას, საინვესტიციო კატალოგის შედგენას, ყოველწლიური საინვესტიციო და თემატური ფორუმების და ფესტივალების ორგანიზებასა და მათში მონაწილეობას, შრომის ბაზარზე ნაკლებპრივილეგირებული დასაქმების სტიმულირებას, ბიზნეს და სამეწარმეო უნარებისა და ინოვაციების განვითარების ხელშეწყობას. ღონისძიებების უმეტესი ნაწილი დაფინანსებული იქნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და აჭარის არ ბიუჯეტით. ასევე მუნიციპალიტეტი გეგმავს შესაძლებლობის შემთხვევაში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში განახორციელოს გეგმაში მითითებული ღონისძიებები.

[1] იგულისხმება შავი ზღვის აუზის რეგიონი

## 2. შინაარსი


ქალაქ ბათუმის მერის მიმართვა ..... 2
**1. მოკლე შეჯამება ..... 3**
**2. შინაარსი ..... 4**
**3. ცხრილების და გრაფიკების სია & აბრევიატურები ..... 5**
3.1. ცხრილები: ..... 5
3.2. გრაფიკები: ..... 5
3.3. აბრევიატურები: ..... 5
**4. გეგმის შესავალი ..... 6**
**5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი ..... 7**
**6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი ..... 8**
6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი ..... 8
6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და საკომუნიკაციო ქსელის აწყობა ..... 10
6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია ..... 11
6.4. წვდომა ფინანსებზე ..... 12
6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა ..... 13
6.6. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები ..... 14
6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი. ინკლუზიურობა ..... 14
6.8. საგარეო პოზიციონირება და მარკეტინგი ..... 15
**7. SWOT ანალიზი ..... 16**
**8. ხედვა და მიზნები ..... 17**
**9. სამოქმედო გეგმა ..... 19**
**10. დაფინანსების სქემა ..... 32**
**11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები ..... 22**
12. დანართები ..... 26
დანართი 1. ბრძანება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ ..... 26
დანართი 2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე ..... 28
დანართი 3. სსიპ აჭარის ა.რ. სავაჭრო–სამრეწველო პალატასთან არსებული ასოციაციები ..... 33
დანართი 4. ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადებასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრების ოქმები ..... 34
დანართი 5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის სტეიკჰოლდერებთან განხილვის ამსახველი ფოტო-მასალა ..... 66
დანართი 6. ვიდეო-ლინკები ..... 68
დანართი 7. ქ. ბათუმის მოსახლეობის დინამიკა, 2012-2018 ..... 68
დანართი 8. ქ. ბათუმის მოსახლეობა, ასაკისა და სქესის მიხედვით, 2014 წელი ..... 68
დანართი 9. მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ქ. ბათუმში (იურ. მისამართით) ..... 69
დანართი 10. კერძო სექტორის მიერ ბათუმის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა დარგების მიხედვით (აშშ დოლარი) ..... 69
დანართი 11. მშენებლობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა (აშშ დოლარი) ..... 70
დანართი 12. ტურიზმის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა (აშშ დოლარი) ..... 70
დანართი 13. მრეწველობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა (აშშ დოლარი) ..... 71
დანართი 14. ბათუმის ბიუჯეტიდან სახელმწიფო შესყიდვებით ხელმისაწვდომი თანხები (GEL) ..... 71
დანართი 15. საერათაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები ქ. ბათუმში ..... 72
დანართი 16. ქ. ბათუმში ლიცენზირებული მოქმედი კომერციული ბანკები ..... 72
დანართი 17. პროგრამა "აწარმოე საქართველოში"ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში, ბათუმში განხორციელებული პროექტები ..... 73
დანართი 18. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ორგანიზაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმები ..... 73
დანართი 19. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ..... 75
დანართი 20. საერთაშორისო რეიტინგები ..... 79

# 3. ცხრილების და გრაფიკების სია & აბრევიატურები

## 3.1. ცხრილები:


ცხრილი №1. საწარმოთა კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობის და ზომის მიხედვით ........ 8
ცხრილი №2. SWOT ანალიზი ........ 16
ცხრილი №3. სამოქმედო გეგმა ........ 19
ცხრილი №4. მონიტორინგი და მექანიზმები ........ 23
ცხრილი №5. ადგილობრივი პარტნიორების შეფასება ........ 30
ცხრილი №6. მზარდი სექტორები და მათი გამოწვევები ........ 30
ცხრილი №7. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები ........ 31
ცხრილი №8: კვალიფიციური უნარების სფეროში არსებული სიტუაცია ........ 31
ცხრილი №9. დაფინანსების სქემა ........ 32
ცხრილი №10. სავაჭრო–სამრეწველო პალატასთან არსებული ასოციაციები ........ 33
ცხრილი №11. საერათაშორისო ვიზიტორების რაოდენობა ბათუმში ........ 72
ცხრილი №12. ქ. ბათუმში ლიცენზირებული მოქმედი კომერციული ბანკები ........ 72
ცხრილი №13. აწარმოე საქართველოშ"ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში განხორციელებული პროექტები ........ 73
ცხრილი №14. მერიასა და ორგანიზაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმები ........ 73


## 3.2. გრაფიკები:


გრაფიკი №1. ქ. ბათუმის მოსახლეობის დინამიკა, 2012-2018 ........ 68
გრაფიკი №2. ქ. ბათუმის მოსახლეობა, ასაკისა და სქესის მიხედვით, 2014 წელი ........ 68
გრაფიკი №3. მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ქ. ბათუმში ........ 69
გრაფიკი №4. კერძო სექტორის მიერ ბათუმში განხორციელებული ინვესტიციები დარგების მიხედვით ........ 69
გრაფიკი №5. მშენებლობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა ........ 70
გრაფიკი №6. ტურიზმის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა ........ 70
გრაფიკი №7. მრეწველობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა ........ 71
გრაფიკი №8. ბათუმის ბიუჯეტიდან სახელმწიფო შესყიდვებით ხელმისაწვდომი თანხები ........ 71
გრაფიკი №9. საერთაშორისო რეიტინგები ........ 79


## 3.3. აბრევიატურები:

| | | |
|---|---|---|
| M4EG | - | მერები ეკონომიკური ზრდისთვის |
| LED | - | ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება |
| TRACECA | - | სატრანსპორტო დერეფანი ევროპა–კავკასია–აზიისათვის |
| OGP | - | ღია მმართველობის ინიციატივა |
| World SME Forum | - | მცირე და საშუალო ბიზნესის მსოფლიო ფორუმი |
| HoReCa | - | სასტუმრო, რესტორანი, კვება |
| ELVZA | - | აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაცია |
| SWOT ანალიზი | - | ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი |
| TEU | - | The twenty-foot equivalent unit is an inexact unit of cargo capacity |
| არ | - | ავტონომიური რესპუბლიკა |
| ა(ა)იპ | - | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| სსიპ | - | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |

## 4. გეგმის შესავალი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა ინიციატივას - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) ხელი მოაწერა 2018 წლის 18 იანვარს. ქ. ბათუმი ტერიტორიის მიხედვით ქვეყნის მასშტაბით მე-3 ქალაქია და მისი ფართობი 65 კვ. კილომეტრია. ბათუმი მსხვილი საერთაშორისო ნავსადგურია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ბაქო-ბათუმის რკინიგზისა და ნავთობსადენის ბოლო პუნქტი და საავტომობილო გზების კვანძი. ბათუმი არის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კორიდორების ნაწილი, მასზე გადის TRACECA-ს მე-4 კორიდორი და საერთაშორისო ავტობანი. ქალაქი მდებარეობს ზღვის დონიდან 5 მეტრზე, თბილისიდან 350 კმ-ში, 5 საათიან სამგზავრო დისტანციაზე (რკინიგზით). ბათუმი დაკავშირებულია დედაქალაქთან სარკინიგზო, საგზაო და საჰაერო გზით. ქალაქის ცენტრიდან 5 კმ-ში მდებარეობს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც ახორციელებს პირდაპირ რეისებს 22 მიმართულებით. ქალაქ ბათუმის საზღვრები ბოლო ათწლეულში 2 ჯერ შეიცვალა და თითქმის 2/3-ით გაიზარდა. ბათუმი, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მე-2 ქალაქია საქართველოში თბილისის შემდეგ[2]. მოსახლეობის ზრდა, ბუნებრივ მატებასთან ერთად, გამოწვეულია ადმინისტრაციული საზღვრების გაზრდით. 2018 წლის მონაცემებით, ბათუმის მოსახლეობა 160 800 ადამიანია, აქედან, 51,2% ქალია და 48,8% მამაკაცი. ბათუმის მოსახლეობის 70% შრომისუნარიანია (15-დან 64 წლამდე ასაკის მოსახლეობა), ხოლო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში 78% შეადგინს. შრომისუნარიანი მოსახლეობის 49% თვითდასაქმებულია. მოსახლეობის საშუალო ასაკი ქალის - 37,4 მამაკაცის - 34 წელია. მოსახლეობის შიდა მიგრაციული ნაკადები, მიუხედავად იმისა რომ ოფიციალურად არ აღირიცხება, ძირითადად შეინიშნება აჭარის მუნიციპალიტეტებიდან, განსაკუთრებით ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებიდან. შიდა მიგრირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი დაბალკვალიფიცირებულ სამუშაო ძალას წარმოადგენს.

ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესისა და მეწარმეობის სიცოცხლისუნარიანობას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალაქ ბათუმისათვის. ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ამ მიმართულებით ქალაქისათვის დასახული მიზნების მიღწევის რეალური შესაძლებლობაა. ინიციატივა დაეხმარება მუნიციპალიტეტს როგორც ტექნიკური უნარების განვითარებაში, ისე საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორს შორის ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარებასა და გაღრმავებაში.

დოკუმენტი თანხვედრაშია საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან „საქართველო 2020“ და „ქალაქ ბათუმის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2021“-თან. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი მიმდინარე ეტაპზე მუშაობს ქალაქის სივრცით-ტერიტორიული განვითარების დოკუმენტაციაზე, რომელიც გაითვალისწინებს ბათუმის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ასპექტებს. ბათუმის ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავებულია სპეციალურად „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტის ფარგლებში და მუნიციპალიტეტში მოქმედი დამტკიცებული გეგმებისა და სტრატეგიებისაგან განსხვავებით, ვიწროდ ფოკუსირებულია კერძო სექტორის განვითარებასა და დასაქმების ხელშეწყობაზე. ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა თანხვედრაშია სხვა სექტორულ გეგმებთან, როგორიცაა „ბათუმის ინტეგრირებული მობილობის გეგმა“ და „ბათუმის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმა.“ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მიგნებებს გაითვალისწინებს „ბათუმის მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმა“, რომელიც ასევე მომზადების პროცესშია.

---

[2] http://census.ge

ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა დამტკიცების შემდგომ სავალდებულო სახელმძღვანელო გახდება მუნიციპალიტეტისათვის, რის საფუძველზეც მოხდება შესაბამისი სამოქმედო ღონისძიებების ასახვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ბათუმის LED გეგმა შემუშავდა პროექტის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. გეგმის შემუშავებისათვის სპეციალურად, მერის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩაერთო როგორც მუნიციპალიტეტის, ისე ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. გეგმის შემუშავების პროცესში ჩამოყალიბდა პარტნიორული ურთიერთობები დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული სექტორების ჩართულობა უზრუნველყოფილი იქნება გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესშიც. გეგმაში გათვალისწინებული აქტივობების ნაწილი დაფინანსდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ნაწილი - აჭარის არ ბიუჯეტიდან. ასევე, კონკრეტული ღონისძიებები დაფინანსებული იქნება აჭარის ა/რ სავაჭრო სამრეწველო პალატის, აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოს, უნივერსიტეტის და ბიზნეს სექტორის მიერ. გარდა ამისა, ბათუმის მუნიციპალიტეტს ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით საერთაშორისო დონორ და საფინანსო ინსტიტუტების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის მოლოდინი აქვს.

## 5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებისათვის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში შეიქმნა LED ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ქ. ბათუმის მერიის (2), სამოქალაქო საზოგადოების (1) და ბიზნეს სექტორის (1) წარმომადგენლებისაგან.

გეგმის შემუშავების პირველ ეტაპზე განხორციელდა იმ დაინტერესებული მხარეების რუკის შედგენა, რომლებიც მონაწილეობენ და აქტიურ გავლენას ახდენენ ქ. ბათუმის ეკონომიკური განვითარებაზე. სამუშაო პროცესში ჩართული იყვნენ შემდეგი დაინტერესებული მხარეები: 1. აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; 2. აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი; 3. აჭარის არ დასაქმების სააგენტო; 4. აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატა; 5. უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები; 6. სსო-ები; 7. ბიზნეს ინკუბატორი; 8. ბათუმის ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. სამუშაო პროცესში სხვადასხვა მიმართულების ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა ჩართვის პროცესის გამარტივება განაპირობა LED ჯგუფში აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჩართულობამ, რომელიც აერთიანებს 21 თემატური ბიზნეს ასოციაციას, შესაბამისად გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია, ასევე უკუკავშირი ოპერატიულად მიიღებოდა ბიზნესის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებისგან.

ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადების პროცესში ჩატარდა 11 შეხვედრა, ამათგან 3 შეხვედრა ჩატარდა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან (მათ შორის მეწარმეები, სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები, პროფესიული და ბიზნეს ასოციაციები), ადგილობრივი ეკონომიკისა და გეგმის თემატური ბლოკების განხილვის, გამოწვევებისა და პერსპექტივების შეფასების, SWOT ანალიზის, ხედვისა და მიზნების, სამოქმედო გეგმის შედგენისა და მათი მხრიდან შესაბამისი უკუკავშირის დადგენისათვის. 4 შეხვედრა გაიმართა დაკავშირებულ საჯარო სტრუქტურებთან, კერძოდ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეონომიკის სამინისტროს, აჭარის ა/რ ტურიზმის დეპარტამენტს, აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოსთან. დოკუმენტი ცალკე განხილული იქნა მერის მრჩეველთა საბჭოსთან, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მეწარმე იურიდიული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. 3 შეხვედრა გაიმართა უმაღლეს სასწავლებლებთან, 1 შემაჯამებელი შეხვედრა - ყველა დაინტერესებულ მხარესთან ქალაქის მერის წარდგინებით. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა კომუნიკაცია სამუშაო ჯგუფის წევრებსა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს შორის ინფორმაციის დამუშავებისა და

კორექტირებისათვის. შეხვედრების შემდეგ ხშირი იყო დამატებითი შეხვედრების ინიციატივები და სატელეფონო კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან. გეგმის შემუშავებამდე არ არსებობდა ინსტიტუციონალიზებული ურთიერთობები ბიზნესსა და მუნიციპალიტეტს შორის, ასევე სუსტი იყო კოორდინაცია მუნიციპალიტეტსა და სხვა საჯარო/კერძო უწყებებს შორის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გეგმის შემუშავების პროცესის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პროცესის შედეგად სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ქ. ბათუმის მერიას შორის, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და დასაქმების ხელშეწყობის საკითხებში თანამშრომლობაზე, საფუძველი ჩაეყარა ღია დიალოგის პლატფორმას ბიზნესსა და მუნიციპალიტეტს შორის. პარტნიორობისა და ერთობლივი მუშაობისათვის დაიგეგმა რიგი ღონისძიებები, რომლებიც გაწერილია სამოქმედო გეგმის ნაწილში.

## 6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

### 6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

ბათუმი, საქართველოს ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი მუნიციპალიტეტია თბილისის შემდეგ. მისი წილი ქვეყნის ეკონომიკაში 6%-ია. დამატებული მთლიანი ღირებულება 1 სულ მოსახლეზე მუნიციპალიტეტში 1717.9 EUR. ბიზნესის ეკონომიკური აქტიურობის ერთ-ერთმა ინდიკატორმა, როგორიცაა ბრუნვის მაჩვენებელი, 2016 წელს შეადგინა 1303.5 მლნ EUR, ხოლო პროდუქციის გამოშვებამ - 827.1 მლნ EUR. ეკონომიკურად აქტიურია მოსახლეობის 54,6%. დასაქმებული მოსახლეობის 47% ბიზნეს სექტორზე მოდის. ბათუმს აქვს სტარტაპის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოს სხვა თვითმმართველ ქალაქებთან შედარებით - 16,9 რეგისტრირებული ბიზნესი 1000 სულ მოსახლეზე, აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოს მასშტაბით 12,8-ს უტოლდება. 2017 წელს ქალაქის ბიზნეს სექტორში ფუნქციონირებდა 10469 საწარმო, მათ შორის 98,42% მცირე ზომის საწარმო.

მზარდი ტენდენციით გამოირჩევა მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ქ. ბათუმში. 2017 წელს მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 13%-ით გაიზარდა. მთლიანი დამატებული ღირებულებისა და დასაქმების მიხედვით, ადგილობრივი ეკონომიკის წამყვან სექტორებს წარმოადგენს მშენებლობა, ვაჭრობა, ტურიზმი (HoReCa), მრეწველობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები. ადგილობრივი ეკონომიკის თითქმის ყველა დარგი პირდაპირპროპორციულადაა მიბმული ტურიზმის სექტორზე. 2017 წლის მონაცემებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 293.1 მლნ EUR, რომელშიც ბათუმის ტერიტორიაზე განხორციელებული ინვესტიციების ხვედრითი წონა იყო 72%. 2017 წელს ბათუმის ტერიტორიაზე კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ზრდის მაჩვენებელმა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში შეადგინა 4%. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მზარდია ადგილობრივი ინვესტიციების მოცულობა მთლიან რაოდენობაში, კერძოდ კი 2017 წელს ადგილობრივი ინვესტიციების მოცულობამ 74 % შეადგინა.

### ცხრილი 1. საწარმოთა კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობის და ზომის მიხედვით

| ეკონომიკური საქმიანობის ტიპი | ბიზნეს ერთეულების რაოდენობა & პროცენტული წილი | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მცირე | საშუალო | მსხვილი | ჯამი | % |
| საცალო ვაჭრობა | 3037 | 5 | | **3042** | **29,1%** |
| საბითუმო ვაჭრობა | 1576 | 20 | | **1596** | **15,2%** |
| რესტორნები, კაფეები, ბარები და სხვა. | 1460 | 1 | | **1461** | **14,0%** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საყოფაცხოვრებო სერვისები | 1248 | 1 | | **1249** | **11,9%** |
| ბიზნეს სერვისები | 1040 | 15 | 3 | **1058** | **10,1%** |
| სასტუმროები, ჰოსტელები და სხვა | 446 | 20 | 15 | **481** | **4,6%** |
| მშენებლობა, დეველოპერული ბიზნესი | 280 | 21 | 9 | **310** | **3,0%** |
| სამედიცინო სერვისები | 220 | 15 | 3 | **238** | **2,3%** |
| სამრეწველო საქმიანობა | 103 | 13 | 3 | **119** | **1,1%** |
| IT სერვისები | 116 | | | **116** | **1,1%** |
| ტურიზმი | 113 | | | **113** | **1,1%** |
| იურიდიული სერვისები | 95 | | | **95** | **0,9%** |
| შემოქმედებითი სერვისები | 95 | | | **95** | **0,9%** |
| ტრანსპორტი | 40 | 4 | | **44** | **0,4%** |
| საკომუნიკაციო მომსახურება | 25 | 15 | 2 | **42** | **0,4%** |
| ნარჩენების გადამუშავება | 4 | | | **4** | **0,0%** |
| სხვა | 406 | | | **406** | **3,9%** |
| ჯამი: | **10304** | **130** | **35** | **10469** | **100%** |
| %-ული წილი | 98,4 % | 1,2 % | 0,3 % | | |
| დასაქმების ინტერვალი (კაცი) | <50 | 49-250 | > 249 | | |
| ბრუნვის ინტერვალი | ≤ 4 mln. € | 4-20 mln. € | >20 mln. € | | |

**ტურიზმი** - სასტუმრო და რესტორნის სექტორი წარმოადგენს დიდ და ყველაზე მზარდ ინდუსტრიას ქალაქის მასშტაბით, მასზე მოდის დასაქმების 13%. 2018 წლის მონაცემებით, ბათუმში 235 სასტუმრო ფუნქციონირებს, სადაც საწოლების რაოდენობა 13958-ს შეადგენს. სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების პარალელურად, განვითარებულია კერძო საცხოვრებელი სახლების გაქირავება ტურისტული მიზნით, თუმცა ამ ტიპის ობიექტების აღრიცხვა არ ხდება. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, საქართველოში 2017 წელს 7,9 მილიონი საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა, სადაც 21,3% აჭარის არ-ის წილს შეადგენს. 2017 წელს 2016 წელთან შედარებით საერთაშორისო ვიზიტორების განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 4,9 %-ით გაიზარდა. კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის 55 % ტურიზმის სექტორზე მოდის, რაც აჭარის ა/რ-ის მასშტაბით 115,789.3 EUR შეადგენს 2017 წლისათვის.

**მშენებლობა** - ბათუმი თბილისის შემდგომ მეორე ქალაქია სამშენებლო სექტორში ფართომასშტაბიანი პროექტების მიხედვით. სამშენებლო სექტორი ძირითადად წარმოდგენილია მაღალი კლასის სასტუმროების, აპარტოტელებისა და საცხოვრებელი სახლების პროექტებით. 2017 წელს ბათუმში დასრულდა 35 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის (6424 საცხოვრებელი ბინის), 13 სასტუმროს სამშენებლო პროექტი. მიმდინარე პროექტების ყველაზე დიდი წილი 64% (924000 $მ^2$) დიდ დეველოპერულ კომპანიებზე მოდის, საშუალო ზომის კომპანიები ახორციელებენ სამშენებლო პროექტების 23%, მცირე ზომის დეველოპერული კომპანიები - 13%-ს. საცხოვრებელი და სასტუმროს სეგმენტის მზარდი ტენდენციების მიუხედავად, უმნიშვნელოა საერთო აქტივობაში საოფისე ბაზრის წილი. დღეისათვის, ბათუმის საოფისე ფართის 68% აუთვისებელია და ძირითადად წარმოდგენილია ძველი საბჭოთა დროინდელი შენობების საოფისე სივრცეებით, ქუჩის საცალო ვაჭრობის ადგილებითა და ბინებით. ქალაქს არ გააჩნია თანამედროვე ბიზნეს ცენტრი და თანამედროვე საოფისე ფართები საკმაოდ შეზღუდული რაოდენობითაა. მშენებლობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 2017 წელს წინა წელთან შედარებით 1,8%-ით გაიზარდა და 79,829,739 EUR შეადგინა.

**ვაჭრობა** - ბრუნვისა და დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ქალაქის წამყვან სექტორს წარმოადგენს. 2017 წლის მონაცემებით, 661,6 მლნ EUR ბრუნვის მაჩვენებლით ვაჭრობა თითქმის 2,4-ჯერ აღემატება მშენებლობის

და 2,5-ჯერ მომსახურების სექტორის ანალოგიურ მაჩვენებელს. გასული 5 წლის დინამიკაში, ავტონომიური რესპუბლიკის ვაჭრობის სფეროში საშუალოდ 35%-იანი ზრდა ფისქირდება. აჭარაში ოპერირებს 30-მდე საექსპორტო კომპანია, რომელიც ექსპორტს 10-ზე მეტ ქვეყანაში ახორციელებს. 2017 წლის მონაცემებით, დარგში დასაქმებულთა რაოდენობა 14'140 ადამიანია. საცალო ვაჭრობის სექტორი ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამსაქმებელს ადგილობრივ ბაზარზე. აუთვისებელი საცალო სავაჭრო სივრცის მოცულობა 164000 მ² შეადგენს, 15%-ით მეტი წინა წელთან შედარებით. საცალო ვაჭრობის სექტორში დომინირებს ე.წ „high street" ვაჭრობა (46%), ბაზრობები და მარკეტები (25%), თანამედროვე შოპინგ ცენტრები (24%) და სხვა საშოპინგე ადგილები (5%).

**მრეწველობა** - სექტორის წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში 8%-ია. მასში მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი ბოლო სამი წლის განმავლობაში საშუალოდ 12%-ია. სამრეწველო უბანში კონცენტრირებულია აჭარის ა/რ-ში ფუნქციონირებადი სამრეწველო საწარმოების დაახლოებით 11% - სულ 120-მდე სხვადასხვა ზომისა და პროფილის სამრეწველო საწარმო. სამრეწველო უბანში არსებული საწარმოების დაახლოებით 65%-ს შეადგენს სამშენებლო მასალების მწარმოებელი საწარმოები. მრეწველობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 2017 წელს წინა წელთან შედარებით 26%-ით გაიზარდა და 2,647,002.8 EUR შეადგინა.

**ტრანსპორტი და ლოგისტიკა** - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით ბათუმი ყველაზე მძლავრი, მრავალდარგობრივი სატრანსპორტო კვანძია საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე. ამასთან, ბათუმი გადამუშავებული ტვირთების მოცულობებისა და მგზავრთა მომსახურების რაოდენობის მიხედვით, სამხრეთ კავკასიის უმნიშვნელოვანეს მულტიმოდალურ სატრანსპორტო კვანძს წარმოადგენს. მისი სტრუქტურა ფორმირდება ოთხი სახეობის გარე (საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო) და რამოდენიმე სახეობის შიდა საქალაქო და საგარეუბნო (ავტობუსები და სამარშრუტო ტაქსები) ტრანსპორტის ურთიერთქმედების საფუძველზე. ბათუმს გააჩნია საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც ახორციელებს ფრენებს 22 მიმართულებით. ბათუმში ფუნქციონირებს მოდერნიოზებული სარკინიგზო სადგური, რომელიც წელიწადში 500000-ზე მეტ მგზავრს ემსახურება. ბათუმის სატრანსპორტო კვანძზე გადის ტრანზიტული ტვირთების დაახლოებით 90%. ჩამოსული ტვირთების მოცულობა 3-ჯერ აღემატება გატანილი ტვირთების მოცულობას. ბათუმში მოქმედ საზღვაო პორტს გააჩნია 11 ნავსადგური და 5 ნავთობტერმინალი.

**შეჯამება.** ბრუნვასა და შემოსავლებზე დაყრდნობით, ბათუმში ამჟამად ყველაზე წარმატებულ სექტორს წარმოადგენს ვაჭრობა, მშენებლობა, მრეწველობა და ტრანსპორტი. ჩამოთვლილი მიმართულებები პრიორიტეტულად რჩება აღნიშნულ სექტორებში დასაქმებისა და ბრუნვის მზარდი ტენდენციებიდან გამომდინარე. ღირებულებათა ჯაჭვის შექმნის პროცესში ყველაზე მეტად ადგილობრივ რესურსებსა და მომწოდებლებს ეყრდნობა მომსახურების სექტორი, ამიტომ ქალაქი გეგმავს ამ მიმართულებით უზრუნველყოს ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. აჭარის ა/რ-ის უნიკალური პროდუქტის/მომსახურების მწარმოებელ სექტორს წარმოადგენს ტურიზმი და აქედან გამომდინარე, ამ მიმართულების ხელშეწყობა ასევე ქალაქისა და ა/რ-ის პრიორიტეტად რჩება.

6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და საკომუნიკაციო ქსელის აწყობა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ძირითად პარტნიორ ორგანიზაციებს წარმოადგენენ ადგილობრივი და ქვეყნის მასშტაბით მოქმედი სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროფესიული სასწავლებლები. არასამთავრობო და საერთაშრისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა სისტემატიური ხასიათისაა. სისტემატიურია კომუნიკაცია და ორმხრივი კავშირები, შეხვედრები. ბათუმში, ბიზნესებსა და მეწარმეებს შორის საკომუნიკაციო კავშირები ჩამოყალიბებულია ასოციაციების ფორმებით. ამჟამად ფუნქციონირებს 25 ბიზნეს ასოციაცია, რომელიც აერთიანებს 1000-მდე წევრს. ბიზნესსა და სახელმწიფო სექტორს შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებს

აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს ბიზნესს შორის ქსელური კავშირების ჩამოყალიბებას. საინვესტიციო და ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო წარმართავს. თანამშრომლობის წარმატებულ ფორმებად შეიძლება ჩაითვალოს აჭარის ა/რ სავაჭრო სამრეწველო პალატასა და ბიზნესს შორის თანამშრომლობა, თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორსა და მუნიციპალიტეტს შორის ბიუჯეტის დაგეგმვისა და მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით. განვითარების ეტაპზეა თანამშრომლობა კერძო/არასამთავრობო სექტორსა და მუნიციპალიტეტს შორის ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით. მნიშვნელოვანია თანამშრომლობა მუნიციპალიტეტსა და ბიზნეს სექტორს შორის ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით, რომელსაც LED გეგმაზე მუშაობის პროცესში ჩაეყარა საფუძველი. შესაბამისად, ბიზნესის სექტორის წარმომადგენლებთან კავშირები და ურთიერთობები ჯერჯერობით არ არის ინსტიტუციონალიზებული და განვითარებასა და გაღრმავებას საჭიროებს. ასევე განვითარებას საჭიროებს ამ მიმართულებით თანამშრომობა შესაბამის არასამთავრობო და საჯარო უწყებებთან.

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემით უკავშრდება მუნიციპალიტეტი სხვა საჯარო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. მერიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე. 2016 წლიდან, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი „ღია მმართველობის პარტნიორობის" ინიციატივის წევრია, რომელიც გულისხმობს წევრების ვალდებულებას გახდნენ უფრო ღია და გახსნილი მოქალაქეებისათვის, ჩართონ ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხელმისაწვდომი და კომფორტული გახადონ სახელმწიფო სერვისები. სამოქალაქო და კერძო სექტორს მუნიციპალურ ტენდერებში და აუქციონებში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს ვებ-გვერდების procurement.gov.ge და eauction.gov.ge მეშვეობით. ბათუმის მერიის ვებგვერდზე Batumi.ge უძრავი ქონებით დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზების გეგმა, ინფორმაცია განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების პრივატიზების შესახებ, ადგილობრივი მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ. ქალაქის, აჭარის სხვა მუნიციპალიტეტების, საინვესტიციო პოტენციალის, რეჟიმებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და პრომოუშენს ახორციელებს აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. სამინისტროს ვებ გვერდზე mofea.ge ასევე განთავსებულია საპრივატიზებო ობიექტთა ბაზა. სამუშაოს მაძიებელთა მომსახურებას ახორციელებს სსიპ „აჭარის დასაქმების სააგენტო". საჯარო სერვისების მიწოდებას მოქალაქეებისა და კერძო სექტორისათვის უზრუნველყოფს ბათუმის იუსტიციის სახლი, რომელიც ახორციელებს ბიზნესისა და ქონების რეგისტრაციას, სააღსრულებო, საარქივო და ონლაინ სერვისებს.

შესაბამის მხარეებთან და ბიზნესთან შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბიზნესისა და მოსახლეობისათვის გამოწვევას წარმოადგენს მომსახურების პროცესში არსებული ბიუროკრატიული ბარიერები და მუნიციპალური მომსახურების მიღების დროში გაწელილი პროცედურები და შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ინფორმაციისა და კონსულტაციების ნაკლებობა დასაქმებისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებზე, მუნიციპალურ და სახელმწიფო ქონებაზე, მუნიციპალური მომსახურების ელექტრონულად მიღების შეზღუდული შესაძლებლობები, მუნიციპალიტეტის ხელისუფლებასა და ბიზნეს სექტორს შორის ნაკლებად ინსტიტუციონალიზებული ურთიერთობები, ბიზნესის კეთებისა და სამეწარმეო უნარების ნაკლებობა.

აღნიშნული მიმართულებით გამოწვევების დასაძლევად ქ. ბათუმის მერიის მიერ დაფუძნდა „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“, რომლის მთავარ ფუნქციასაც მოსახლეობისა და ბიზნესისათვის სერვისების სწრაფი და ეფექტური მიწოდება წარმოადგენს. აღნიშნული ორგანიზაცია ჯერჯერობით ფორმირების პროცესშია და მისი ფუნქციები სრულად ამოქმედებასა და განვითარებას საჭიროებს.

6.4. წვდომა ფინანსებზე

ქ. ბათუმში ოპერირებს 14 კომერციული ბანკი (60-მდე სერვისცენტრით), 21 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, 10 სადაზღვევო კომპანია და 2 საკრედიტო კავშირი. საქართველოს მასშტაბით, კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მთლიანი მოცულობის 8.7% და ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხის მთლიანი მოცულობის 7.2% აჭარის რეგიონზე მოდის, რომელშიც ქალაქ ბათუმის წილი დაახლოებით 80%-ია. 2017 წელს კომერციული ბანკების მიერ აჭარის არ-ში გაცემული სესხების მოცულობამ შეადგინა 811,8 მლნ EUR, რომელთა შორის 77% გრძელვადიანი სესხია. სესხის ყველაზე დიდი წილი, 48% ვაჭრობის სექტორზე მოდის. მიზნობრიობის მიხედვით, ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების 33% და უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების 27% მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზეა გაცემული. მოთხოვნის მიხედვით ყველაზე გავრცელებულია 19 200 EUR-მდე სესხები (მთლიანი მოცულობის 60%). მსხვილი ბიზნეს სესხების გაცემა (>16 000 EUR) თანხმდება ცენტრალურ ოფისებთან თბილისში და არ არის დაკავშირებული ბიუროკრატიულ პროცედურებთან.

ბათუმის ბიუჯეტიდან სახელმწიფო შესყიდვებით ხელმისწავდომი თანხები 2017 წლისათვის შეადგენდა 19,6 მლნ EUR-ს. ბიზნესისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ასევე სახელმწიფო და მუნიციპალური შესყიდვებით, ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამებით. 2014 წლიდან ხორციელდება სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომლის მიზანია სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და კერძო სექტორის განვითარება ფინანსურ რესურზე ხელმისაწვდომობის, უძრავი ქონების უზრუნველყოფისა და საკონსულტაციო მომსახურების საშუალებით. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში, 2014 წლიდან დღემდე ქ. ბათუმში განხორციელდა 6 პროექტი, რომლის ინვესტიციის საერთო მოცულობა 3 451 989 EUR-ს შეადგენს (მათ შორის სესხის მოცულობა 1 484 366 EUR), დაფინანსებული 6 პროექტიდან 4 სამშენებლო ამსალების წარმოებას, ხოლო დანარჩენი 2 საკვები პროდუქტების და ფარმაცევტულ წარმოებას ეხება (საშუალო სუბსიდირებული თანხა ერთ ბიზნესზე 30 973 EUR შეადგენს). მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ნაწილის ფარგლებში, ქ. ბათუმში დაფინანდა 86 პროექტი, გრანტის ჯამური ღირებულებით 225 906 EUR.

ქალაქ ბათუმის მასშტაბით დასაქმებასა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირეა. მათ მიერ მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა ძირითადად ხორციელდება არაფულადი დახმარებით, ერთჯერადი მცირე გრანტების გაცემისა და საკონსუტაციო მომსახურების გაწევის სახით.

საკონსულტაციო შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბიზნესი ასახელებს ფინანსურ რესურსებზე წვდომას, როგორც განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერს. უმრავლესობა, ფინანსებზე წვდომის ქვეშ საბანკო კრედიტს გულისხმობს და არგუმენტებად ძირითადად სესხის აღების გართულებულ პროცედურები, მოთხოვნილი უზრუნველყოფის სიდიდე და საბანკო ისტორია სახელდება. საგულისხმოა, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ქვეშ ძირითადად აქცენტი საბანკო პროდუქტებზე კეთდება და არა ალტერნატიულ საშუალებებზე, როგორიცაა სახელმწიფო პროგრამები, რაც ამ მიმართულებით ასევე ინფორმირებულობის ნაკლებობაზე მიუთითებს.

### 6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა

მიწის მართვა მუნიციპალურ დონეზე დაკავშირებულია მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან, რომელიც ბათუმის მუნიციპალიტეტმა 2009 წელს დაამტკიცა და საჭიროებს განახლებას. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქს აქვს ზონირების რუქები, ქალაქის ტერიტორიის სათანადო გამოყენების განსაზღვრისათვის და სივრცითი განვითარებისათვის აუცილებელია სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის მიღება, რაზეც ამჟამად მუშაობს მუნიციპალიტეტი. საინვესტიციო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, ასევე მსხვილი საინვესტიციო წინადადებების მომზადებასა და ინვესტორებისათვის შეთავაზებაში წამყვანი როლი უჭირავს აჭარისავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას. ტურიზმისა და სამშენებლო სექტორების სწრაფმა განვითარებამ გაზარდა მოთხოვნა მიწის ნაკვეთებზე.

მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ავლენს მის საკუთრებაში არსებულ გამოუყენებელ უძრავ ქონებას, ამტკიცებს საპრივატიზაციო გეგმის სახით და განკერძოებას ახდენს ელექტრონული აუქციონის წესით. მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწები პირობიანი და უპირობო აქუციონის წესით პრივატიზდება. ამჟამად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მთლიანი ფართობი 20 881 მ$^2$ შეადგენს და ძირითადად ქალაქის პერიფერიულ ნაწილებშია განთავსებული. გარდა ამისა, ნაკვეთების უმრავლესობა მცირე ზომისაა და ფართობი საშუალოდ 11 მ$^2$-დან 5000 მ$^2$-მდე მერყეობს. პირობიანი აუქციონი ძირითადად მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების (მაღაზია, სავაჭრო ცენტრი, მომსახ.ბიურო, ავტოგასამართი სადგური, სკვერი, ეზო, სამედიცინო დაწესებულება, ავტომიმართულების პროფ.კოლეჯი ავტო სერვის ცენტრი) მშენებლობისათვის ცხადდება.

მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება შენობა-ნაგებობები, რომლებიც ძირითადად ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი დანიშნულებისაა. მუნიციპალიტეტს აქვს საბინაო ფონდი, რომლებსაც მიზნობრივი სოციალური პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტებისა და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი ნაგებობისა და ობიექტის მშენებლობისათვის განსახორციელებელი ექსპროპრიაციისათვის იყენებს. მუნიციპალიტეტის ბალანსზე საოფისე დანიშნულებით გამოსადეგარი სულ 4 შენობა, დანარჩენი - კერძო საკუთრებაა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მომზადების პროცესშია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა, რაც ამ ეტაპზე გარკვეული დროით აფერხებს თავისუფალი ტერიტორიების გამოყენებისათვის კონკრეტული კონცეფციების შემუშავებას. მრეწველობისა და ვაჭრობის მიმართულებით არის საოფისე ფართებზე მოთხოვნა მცირე ბიზნეს სუბიექტების მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე არსებული საოფისე ფართების 68%[3] აუთვისებელია, რადგან ეკონომიკურად აქტიურ ზონებში კომერციული ფართის ფასი მაღალია, 2013-2015 წლებში თითქმის 2-ჯერ აღემატებოდა შუალედური ზონის ფასს, გარდა ამისა, საოფისე ფართების დიდი ნაწილი ძირითადად წარმოდგენილია ძველი საბჭოთა დროინდელი შენობების საოფისე სივრცეებით. მზარდი სექტორებისთვის (ტურიზმი, ვაჭრობა, მშენებლობა, მრეწველობა) გამოწვევებს წარმოადგენს მუნიციპალიტეტსა და სახელმწიფო ქონებაზე ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის სიმცირე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საწარმოო და საოფისე სივრცეების არარსებობა. ამ მიმართულებით აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი გეგმავს ქონების ინვენტარიზაციას და ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას, ასევე საინვესტიციო კატალოგის მომზადებას.

---

[3] Office Market In Georgia 2017 (Colliers int.)

6.6. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის დღეისათვის გამოწვევას წარმოადგენს ბიზნესისა და მოქალაქისათვის შესაბამისი სანებართვო მომსახურების დროული და გამარტივებული წესით მიწოდება. აღნიშნული განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს სამშენებლო სექტორისათვის. სამშენებლო ნებართვების გაცემის სირთულე დაკავშირებულია სივრცით-ტერიტორიული მოწყობის გეგმის არარსებობასთან. დროში გაწელილია ნებართვების მიღების პროცედურებიც. სანებართვო საქმიანობასთან დაკავშირებით ასევე ნაკლებია ბიზნესისა და საზოგადოების ინფორმირებულობა. სანებართვო მომსახურების ეფექტურობის მიზნით, მუნიციპალიტეტი გეგმავს ელექტრონული სერვისების დანერგვასა და ამოქმედებას. გარდა ამისა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება ხორციელდება აუქციონის ფორმით. ამავე კოდექსის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების შესაძლებლობას პირდაპირი განკარგვის ფორმით ან გაცვლის ფორმით ითვალისწინებს მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის. იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ბიზნესის განვითარებასა და მუნიციპალიტეტის მიერ ინვესტიციების განხორციელებას, ასევე სოციალური, ეკონომიკური, ქალაქთმშენებლობითი ან/და სხვა მსგავსი მუნიციპალური პროგრამების განხორციელებას, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით ან გაცვლის ფორმით პრივატიზების შესაძლებლობა თბილისის მუნიციპალიტეტის მსგავსად მიეცეს ასევე თვითმმართველ ქალაქებს, რაც საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს ცენტრალურ დონეზე.

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი. ინკლუზიურობა

ბათუმში ეკონომიკურად აქტიურია მოსახლეობის 54,6% (87797 ადამიანი). დასაქმებული მოსახლეობის 47% ბიზნეს სექტორზე მოდის. მუნიციპალიტეტში, სამუშაო ადგილები ძირითადად შექმნილია შემდეგ სექტორებში: მომსახურების სექტორი, ოპერაციები უძრავ ქონებაზე, განათლება, ჯანდაცვა და კომუნალური სერვისები. სამუშაო ადგილები ძირითადად კონცენტრირებულია მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ნაწილში.

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს. საქართველოს მასშტაბით მხოლოდ ბათუმშია სასწავლებელი - სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, რომელიც ერთდროულად ახორციელებს სწავლებას ხელოვნების ოთხივე მიმართულებით: თეატრი, კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება. ბათუმში ასევე არის უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამებია, ასევე ხდება არაქართველი სტუდენტებისთვის ქართული ენის სწავლება (მოსამზადებელ ეტაპზე). 2018 წლის მონაცემებით სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 700-მდე უცხოელი სტუდენტი სწავლობს. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამას და შემდეგ საბაკალავრო პროგრამებს: საზღვაო ნავიგაცია; გემის მექანიკა; საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა, საზღვაო ნავიგაციის საგანმანათლებლო პროგრამა. ბათუმში ფუნქციონირებს სამრეწველო ინოვაციების 2 ლაბორატორია (FabLab BSU და FabLab Black Sea) და 3 პროფესიული სასწავლებელი „Golden Sea“, „ახალი ტალღა“ და „ბლექსი“, რომლებიც ახდენენ სტუდენტების ვიწროპროფილურ გადამზადებას, მათ შორის დუალურ სწავლებას. შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებულ დისპროპორციას ძირითადად განსაზღვრავს შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნად სპეციალიზაციასა და სამუშაოს მაძიებელთა განათლებასა და კვალიფიკაციას შორის არსებული შეუსაბამობა. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“-ს მიერ 2016 წელს განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შესაბამისად, ბათუმის შრომის ბაზარზე სფეროების მიხედვით ყველაზე მსხვილ დამსაქმებელთა

სამეულში შედიან სამშენებლო კომპანიები, სამკერვალო ფაბრიკები და HoReCa სექტორი. კვლევის მიგნებებით, საწარმოები და ორგანიზაციები პრობლემატურად მიიჩნევენ კვალიფიციური კადრების დეფიციტს, ასევე მნიშვნელოვან ბარიერად სახელდება სამუშაო გამოცდილების მქონე კადრების ნაკლებობა. გამოკითხულ დამსაქმებელთათვის პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე უცხო ენების არ ცოდნა. აღნიშნულს უჩივიან ძირითადად, სასტუმროები, სამკერვალო ფაბრიკები და ვაჭრობის სფეროში მომუშავე კომპანიები. მთხოვნა იზრდება ვიწრო სპეციალიზაციის მქოდე კადრებზე მზარდ სექტორებში, ასევე თანდათანობით მოთხოვნადი ხდება ტექნიკური დარგები - საინჟინრო/ტექნოლოგიური მიმართულებები. მცირე და საშუალო ბიზნესის თვალსაზრისით, კერძო სექტორში განვითარებას საჭიროებს ბიზნესის მართვისა და სამეწარმეო უნარები.

უნარების განვითარების მიმართულებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიზნობრივი პროგრამები მოიცავს საზღვარგარეთ პროფესული სტაჟირების თანადაფინანსებას, წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიების პროგრამას. გარდა ამისა, უმაღლეს სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე სისტემატიურად ხდება სტუდენტებისათვის პროფესიული პრაქტიკის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში.

## 6.8. საგარეო პოზიციონირება და მარკეტინგი

ამჟამად, ტურიზმი ბათუმის ეკონომიკის წამყვანი დარგია. შესაბამისად, ამ მიმართულებით ქალაქის მიზანია გახდეს ტურისტული დანიშნულების ადგილი არამარტო ქვეყნის, არამედ შავი ზღვის აუზის რეგიონის მასშტაბით. ქალაქს გარდა ოფიციალური გერბისა გააჩნია ოფიციალური ტურისტული ლოგო. ქალაქის საგარეო პოზიციონირებას და მარკეტინგს როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის მასშტაბით აქტიურად ახორციელებს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი. 2018 წელს, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი აქტიურ პიარკამპანიას 16 ქვეყანაში აწარმოებს. ქალაქის საინვესტიციო მიმზიდველობის პრომოუშენს აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს. ამ მიზნით უწყება ყოველწლიურად მონაწილეობს და მასპინძლობს საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმებსა და შეხვედრებს.

მუნიციპალიტეტის დონეზე ქალაქის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო ასპარეზზე საერთაშორისო კულტურული და სპორტული ღონისძიებების მასპინძლობით ხდება. 2018 წელს ბათუმმა მიიღო ევროპის სპორტის ქალაქის სტატუსი, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ქალაქს, როგორც საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების დანიშნულების ადგილს. მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ტარდება საერთაშორისო ჩემპიონატი ბილიარდში, საერთაშორისო ტურნირები ტაეკვონდოში, კალათბურთში, წყალბურთში, ქვიშის ფრენბურთში, სპორტულ ცეკვებში, აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (ELVZA) ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში. 2018 წელს ქალაქმა უმასპინძლა რიგით 43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადას, სადაც 170 ქვეყნის დელეგატმა მიიღო მონაწილეობა. გარდა ამისა, ქალაქი ყოველწლიურად მასპინძლობს საერთაშორისო კინოფესტივალ "BIAFF"-ს, ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალს "თოფუზი" და შავი ზღვის ჯაზ ფესტივალს.

ქალაქის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო მასშტაბით ხელს უწყობს დამეგობრებულ ქალაქებთან პარტნიორული ურთიერთობები, რომელიც 1987 წლიდან ვითარდება. ბათუმს 28 დამეგობრებული ქალაქი ყავს და თანამშრომლობა მოიცავს ქალაქის განვითარების, ეკონომიკის, განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სხვა ორმხრივი ინტერესის საფუძველზე შერჩეულ სფეროებს.

ქალაქის პოზიციონირება რეგიონის და საერთაშორისო მასშტაბით ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე და პირდაპირ უკავშირდება ინვესტიციების ზრდას ეკონომიკის ყველა მზარდ სექტორებში.

მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ბათუმი აღიქმება როგორც ტურისტული და სარეკრეაციო ქალაქი, სადაც მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობისა და ავთენტური იერსახის შენარჩუნება. აქედან გამომდინარე მშენებლობის რეგულირების საკითხები ქალაქის იმიჯთან დაკავშირებულ სუსტ მხარეშია აღქმული.

ბიზნესისათვის ქალაქის იმიჯის სუსტ მხარეს წარმოადგენს მოუწესრიგებელი მიწათსარგებლობა და სუსტი კომუნიკაციის არსებობა სერვისის მიმწოდებელ პასუხისმგებელ უწყებებს შორის. ინვესტორებისა და ბიზნესით დაინტერესებული პირებისათვის ბათუმი აღიქმება ბიზნესის კეთებისთვის სასურველ ადგილმდებარეობად შემდეგი პირობებიდან გამომდინარე: მულტიკულტურული გარემო, სტრატეგიული სატრანსპორტო კომუნიკაცია და ქალაქგანვითარების მზარდი დინამიკა.

## 7. SWOT ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
| --- | --- |
| **ზოგადი მონაცემები:**<br>- სტრატეგიული მდებარეობა - ხელმისაწვდომობა რკინიგზით, საავტომობილო მაგისტრალით, საზღვაო და საჰაერო გზებით;<br>- ბათუმის პორტზე გამავალი ევროპა-კავკასია-აზიის კორიდორის TRACECA-ს ნაწილი. პორტში სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელისა და სამგზავრო ტერმინალის არსებობა;<br>- ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის სტატუსი, რეგიონული სამთავრობო სტრუქტურების არსებობა;<br>- განვითარებული საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;<br>- სტარტაპ ბიზნესის მაღალი მაჩვენებელი 1 სულ მოსახლეზე;<br>- მოქმედი ბიზნეს სუბიექტების მზარდი ტენდენცია;<br>**ადგილობრივი თანამშრომლობა:**<br>- ადგილობრივ დონეზე არსებული ბიზნეს და სამეწარმეო ასოციაციები და კავშირები;<br>- ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მექანიზმების არსებობა;<br>- განვითარებული თანამშრომლობა მუნიციპალიტეტსა და სსო-ებს/საერთაშორისო ორგანიზაციებს/აკადემიურ ინსტიტუტებთან;<br>**გამჭვირვალე ადმინისტრაცია:**<br>- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;<br>- ელექტრონული სერვისების განვითარებაზე პასუხისმგებელი მუნიციპალური ორგანიზაციის არსებობა;<br>**წვდომა ფინანსებზე:**<br>- ქალაქის მასშტაბით საფინანსო ინსტიტუტების არსებობა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.<br>**მიწა და ინფრასტრუქტურა:**<br>- თავისუფალი საოფისე ფართების არსებობა ბაზარზე;<br>**უნარები და ადამიანური კაპიტალი:**<br>- ძირითადი სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;<br>- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიზიდულობის ცენტრი;<br>- შრომისუნარიანი მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი ქალაქის მოსახლეობაში.<br>**საგარეო პოზიციონირება და მარკეტინგი:**<br>- ქალაქის მზრდადი ცნობადობა და ამ კუთხით მიმდინარე | **ზოგადი მონაცემები:**<br>- ქალაქის ეკონომიკის ტურიზმზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი;<br>- ტურისტული და სხვა სერვისების დაბალი დონე;<br>- სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსი;<br>**ადგილობრივი თანამშრომლობა:**<br>- მუნიციპალიტეტსა და ბიზნეს სექტორს შორის არაინსტიტუციონალიზებული თანამშრომლობა;<br>- სუსტი კოორდინაცია მუნიციპალიტეტსა და საჯარო უწყებებს შორის ეკონომიკური განვითარების საკითხებზე;<br>**გამჭირვალე ადმინისტრაცია:**<br>- დაბალი ინფორმირებულობა ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებსა და ბიზნესის დაფინანსების შესაძლებლობებზე; მუნიციპალიტეტის დონეზე შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურის არარსებობა.<br>**წვდომა ფინანსებზე:**<br>- საბანკო და სადაზღვევო პროდუქტების ნაკლებად ხელსაყრელი პირობები მეწარმეთათვის;<br>- მუნიციპალიტეტისა და ბიზნეს სექტორის ფანდრაიზინგის სუსტი უნარები.<br>**მიწა და ინფრასტრუქტურა:**<br>- ქალაქის სივრცით-ტერიტორიული განვითარების დოკუმენტაციის არარსებობა და მოუწესრიგებელი მიწათსარგებლობა;<br>- საინვესტიციო პროექტებსა და სახელმწიფო/მუნიციპალურ ქონებაზე ერთიანი მონაცემთა ბაზის (მათ შორის ელექტრონული) არარსებობა ქალაქის მასშტაბით;<br>- პრივატიზებისათვის გამოსაყენებელი მუნიციპალური ქონების სიმცირე.<br>**საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო:**<br>- ბიზნესისათვის საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობისა და მიწოდების ხარისხის დაბალი დონე;<br>**უნარები და ადამიანური კაპიტალი:**<br>- უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის არასაკმარისი ორიენტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე;<br>- სამეწარმეო უნარ-ჩვევების, ასევე თანამედროვე მართვისა და ადმინისტრირების ცოდნის დაბალი დონე;<br>- კვალიფიციური უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონეთა სიმცირე;<br>- უცხოენების მცოდნე პერსონალის სიმცირე შრომის ბაზარზე;<br>- ინოვაციების და კვლევისა და R&D დაბალი დონე;<br>- ადამიანური კაპიტალის დაბალი კონკურენტუნარიანობა. |

| | |
|---|---|
| საპრომოუშენო ღონისძიებები;<br>- ქალაქის ტურისტული და საინვესტიციო მიმზიდველობა. | **საგარეო პოზიციონირება და მარკეტინგი:**<br>- მშენებლობის რეგულირების საკითხების ნეგატიური აღქმა ქალაქის მაცხოვრებელთა მიერ. |
| **შესაძლებლობები** | **საფრთხეები** |
| **ზოგადი მონაცემები:**<br>- ქალაქის საინვესტიციო მიმიზდველობის და ინვესტიციების ზრდა ტურიზმის, მშენებლობის, ვაჭრობის, მრეწველობის სექტორებში;<br>- ქალაქის ეკონომიკური პროფილის დივერსიფიცირება;<br>- ტურისტების რაოდენობის ზრდა.<br>**ადგილობრივი თანამშრომლობა:**<br>- მუნიციპალიტეტისა და ბიზნეს სექტორების თანამშრომლობის მექანიზმების დანერგვა;<br>- საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობის ფარგლებში პროექტების განხორციელება;<br>**გამჭვირვალე ადმინისტრაცია:**<br>- მუნიციპალური სერვისების ეფექტური სისტემის დანერგვა;<br>**წვდომა ფინანსებზე:**<br>- ხელისუფლების და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ წარმოებისა და მომსახურების სექტორების მხარდაჭერა;<br>- ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების ზრდა;<br>**უნარები და ადამიანური კაპიტალი:**<br>- ინოვაციური მიდგომებისა და ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება;<br>- საგანმანათლებლო ინსტიტუტების ორიენტირების ზრდა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;<br>**საგარეო პოზიციონირება და მარკეტინგი:**<br>- ქალაქის პოპულარიზაციის ზრდა საერთაშორისო არეალზე;<br>- კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მზარდი დინამიკა. | - კვალიფიციური შრომითი რესურსის გადინება;<br>- კლიმატური ცვლილებების უარყოფითი ზეგავლენა ქალაქის ინფრასტრუქტურაზე;<br>- სავალუტო კურსის არასტაბილურობა;<br>- შესაძლო საგარეო ეკონომიკური ფაქტორები (ფინანსური კრიზისი, საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნის შემცირება და ა.შ.). |

ანალიზის საფუძველზე ქ. ბათუმის ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოიკვეთა ნაკლებადეფექტური საჯარო სერვისების არსებობა ბიზნესისათვის, არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და მუნიციპალიტეტსა და ბიზნეს სექტორს შორის არაინსტიტუციონალიზებული თანამშრომლობა. ასეთ ვითარებაში უნდა შეიქმნას გარემო, სადაც ბიზნეს სექტორი მარტივად და სწრაფად შეძლებს საჯარო სერვისების მიღებას, ხელი შეეწყობა ადამიანური კაპიტალის განვითარებას ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. ბიზნესის განვითარების სტიმულირება ინოვაციების და სამეწარმეო უნარების გაუმჯობესებისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდით, ხელს შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვასა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

## 8. ხედვა და მიზნები

### ხედვა:

ბათუმი იქნება რეგიონის მასშტაბით საცხოვრებლად და ვიზიტორთათვის მიმზიდველი ქალაქი ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტირებული მზარდი ეკონომიკით.

ხედვა გრძელვადიანია. სასურველი შედეგის მიღწევას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი ხელმძღვანელობის, რეგიონული და ცენტრალური მთავრობის, ადგილობრივი კერძო სექტორისა და სამოქალაქო ორგანიზაციების კოორდინირებული მხარდაჭერით გეგმავს.

მიზნები:

- ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება და ინვესტიციების ზრდა;
- სამეწარმეო და ინოვაციური უნარების განვითარება, დასაქმების სტიმულირება;
- ქალაქის ტურისტული და საინვესტიციო ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო არეალზე.

## 9. სამოქმედო გეგმა

| თემატური ბლოკები | მთავარი მიზნები | ქმედებები | ხანგრძლივობა | მონაწილე პარტნიორები | ღირებულება | Output (Product) indicators and targets | Outcome (Result) Indicators and targets) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო;<br>4. წვდომა ფინანსებზე.<br>5. მიწა და ინფრასტრუქტურა. | 1.ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება და ინვესტიციების ზრდა | 1.1 ბიზნესის ხელშეწყობის ინსტიტუციური და მარეგულირებელი მექანიზმების შექმნა | 2019-2020 | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია; სავაჭრო-სამრეწველო პალატა. | 1 700 000 GEL<br>544 000 EU | 1. მომზადებული და დამტკიცებული ქალაქ ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია;<br>2. შექმნილია და მოქმედებს "ღია დიალოგი"-ს პლატფორმა - სექტორული შეხვედრები ბიზნესსა და მუნიციპალიტეტს შორის არსებული პრობლემებისა და საჭიროებების გამოსავლენად | გაუმჯობესებულია ბიზნეს გარემო, გაზრდილია განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა, განხორციელებული საინვესტიციო პროექტების რაოდენობა; აქტიური ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა; ბრუნვისს ზრდა, დამატებული ღირებულების ზრდა, დასაქმების ზრდა. |
| | | 1.2. ელექტრონული სერვისების დანერგვა და ბიზნესის მომსახურების „ერთი ფანჯრის" პრინციპის ამოქმედება | 2019-2020 | ქ. ბათუმის მერია; ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო. | 600 400 GEL<br>192 128 EU | 1. აღრიცხულია მუნიციპალური სერვისები და შექმნილია სერვისების რუქა; 2. დანერგილია და მოქმედებს მუნიციპალური სერვისების ელექტრონული სისტემები; 3. ადმინისტრაციულ უბნებში ამოქმედებულია სერვის-ცენტრები (მინიმუმ 4), რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ადგილზე განხორციელდეს საჭირო ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისი რეაგირება. | გაუმჯობესებულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ბიზნესისათვის მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე; შემცირებულია ბიუროკრატიული ბარიერები ბიზნესისათვის მუნიციპალური სერვისების მისაღებად. დანერგილი და ამოქმედებული ელექტრონული სერვისები; ელექტრონული სერვისების ზრდა დინამიკაში. |
| | | 1.3. ბიზნეს სექტორისათვის სახელმწიფო/მუნიციპალური ქონებაზე წვდომის გაუმჯობესება და მეწარმეობის სტიმულირება | 2019-2020 | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია; აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; აჭარის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა. | 2 700 000 GEL<br>864 000 EU | 1. განხორციელებულია ქონების ინვენტარიზაცია და ინფორმაცია შესაბამის ვებ-გვერდებზე განთავსებულია ელექტრონულად;<br>2. მომზადებულია ბათუმის საინვესტიციო კატალოგი;<br>3. შექმნილია ინდუსტრიული სამეწარმეო ბიზნეს ცენტრი. მეწარმეობისა და მსუბუქი | გაუმჯობესებულია წვდომა მუნიციპალურ და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ ინფორმაციაზე, გაზრდილია განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა. ინდუსტრიული საწარმოო |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები. | | მრეწველობის დარგში გაზრდილია ახალი ბიზნესების რაოდენობა. | ბიზნეს ცენტრის ბენეფიციარ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა; პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა; იჯარით გაცემული ობიექტების რაოდენობა; განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა; განხორციელებული ინვესტიციების ზრდა დინამიკაში. |
| | | 1.4 ბიზნეს და საინვესტიციო ფორუმებისა და თემატური ფესტივალების ორგანიზება და მათში მონაწილეობა. | 2019-2020 | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია; აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; აჭარის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა. | 545 000 GEL 174 400 | 1. ჩატარებულია საინვესტიციო ღონისძიებები (მინ. 20). 2. საინვესტიციო პროექტები წარდგენილია საინვესტიციო გამოფენებსა და ფორუმებზე (მინ. 20). 3. წლის გამავლობაში ჩატარებულია 3 თემატური სამეწარმეო ფორუმი/ფესტივალი (მეწარმე ქალთა ეროვნული ფორუმი; თევზის ფესტივალი; თაფლის ფესტივალი) | გაზრდილია განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა. განხორციელებული საინვესტიციო პროექტების რაოდენობა; განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა; განხორციელებული ინვესტიციების ზრდა დინამიკაში. გაზრდილია მცირე და საშუალო ბიზნესის აქტივობა; დამყარებულია ახალი პარტნიორობები. ფორუმებში მონაწილეთა ზრდა დინამიკაში; აქტიური ბიზნეს სუბიექტების ზრდა დინამიკაში. |
| 3.მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო; 4. წვდომა ფინანსებზე; 5. მიწა და ინფრასტრუქტურა; 7. უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება. | 2. სამეწარმეო და ინოვაციური უნარების განვითარება, დასაქმების სტიმულირება | 2.1. შრომის ბაზარზე ნაკლებპრივილეგირებული პირების (მათ შორის, შშმ პირები, სტუდენტები, 40 წელს გადაცილებლი და სხვა მოქალაქე) დასაქმების სტიმულირება | 2019-2020 | ქ. ბათუმის მერია; აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტო. | 545 000 GEL 170 313 EU | 1. უზრუნველყოფილია შრომის ბაზარზე ნაკლებპრივილეგირებული (სტუდენტები, შშ პირები, კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების მქონდე პირები) 200 პირის გადამზადება და დასაქმების სტიმულირება; 2. პროგამაში ჩართული 50 ბენეფიციარი დასაქმებულია და ქ. ბათუმის მერიის მხრიდან ხორციელდება შრომის ანაზღაურების სუბსიდირება | გაზრდილია დასაქმების მაჩვენებელი; პროექტში ჩათული ბენეფიციარების რაოდენობა; პროექში ჩართვის მსურველთა ზრდა დინამიკაში; პროექტის ფარგლებში დაინტერესებულ დამსაქმებელთა რაოდენობა; დასაქმების მაჩვენებლის ზრდა. |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 200 ლარის მოცულობით. | |
| | | 2.2. ბიზნეს და სამეწარმეო უნარებზე ტრენინგ-სემინარების ჩატარება და კონსულტაციების გაწევა | 2019-2020 | აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა; ქალაქ ბათუმის მერია. | 50 000 GEL<br>15 625 EU | წლის განმავლობაში ჩატარებული 50 -მდე ტრენინგ-სემინარი და ბიზნეს კონსულტაციები სამეწარმეო უნარ-ჩვევებსა და შესაბამის საქმიანობასთან დაკავშირებით. | გაძლიერებულია სანეწარმეო შესაძლებლობები; გაზრდილია მცირე და საშუალო ბიზნესის აქტივობა; აქტიური ბიზნეს სუბიექტების ზრდა დინამიკაში. |
| | | 2.3. ბათუმის ისტორიული განაშენიანების საზღვრების ეზოებში კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერა | 2019 | ქ. ბათუმის მერია | 130 000 GEL<br>41 600 EU | 1. ძველი ბათუმის უბანში 10 ეზოში მომზადებულია ეზოებში მცირე კომერციული პროექტების ბიზნეს გეგმები; 2. პროექტორების საფუძველზე განხორციელებულია ეზოების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ასევე ბიზნესის ამოქმედებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა (10 პროექტი); 3. განხორციელებულია ამხანაგობების გადამზადება; შერჩეულ 10 ეზოში ამხანაგობის მიერ ამოქმედებულია და ფუნქციონირებს მცირე ბიზნესი. | გაზრდილია დასაქმება; გაზრდილია სამეწარმეო უნარ-ჩვევები; გაზრდილია ინტერესი მცირე ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებით. პროექტში ჩათული ბენეფიციარების რაოდენობა; პროექში ჩართვის მსურველთა ზრდა დინამიკაში; დასაქმების მაჩვენებლის ზრდა. |
| | | 2.4 ინოვაციური და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება | 2019- 2020 | ქ. ბათუმის მერია ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - „ფაბლაბი“, „ტექნოპარკი | 285 000 GEL<br>91 200 EU | 1. მოწყობილი და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საინკუბაციო ცენტრი (250 კვ/მ), რომელიც წლის განმავლობაში საინკუბაციო მომსახურებას გაუწევს ბიზნეს სექტორის მინიმუმ 6 წარმომადგენელს. 2. უნივერსიტეტის ფაბ-ლაბი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკა-დანადგარებით; 3. გადამზადებულია ფაბ-ლაბის | გაზრდილია საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ბიზნეს სუბიექტების აქტივობა, აქტიური ბიზნეს სუბიექტების ზრდა დინამიკაში. გაზრდილია საინოვაციო მიმართულებით აქტივობა. გაზრდილია საინოვაციო მიმართულეიბთ სტუდენდების ინტერესი. |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | მინიმუმ 2 თანამშრომელი; 4. ფაბლაბში შემუშავებულია და განხორციელებულია ინოვაციური პროექტები, იდეები. | |
| გარე პოზიციონირება და მარკეტინგი | 3. ქალაქის ტურისტული და საინვესტიციო ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო არეალზე. | 3.1. ქალაქის (რეგიონის) რეკლამირება 16 ქვეყანაში (სატელევიზიო რეკლამა, გარე რეკლამა, ონლაინ რეკლამა, პრეს და ინფოტურების ორგანიზება, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა); საინვესტიციო პოტენციალის შესახებ საპრომოუშენო მასალების მომზადება და გავრცელება | 2019-2020 | ქ. ბათუმის მერია; აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. | 5 528 000 GEL<br>1 727 500 EU | 1. 16 მიზნობრივ ქვეყანაში ხორციელდება ქალაქის ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალის რეკლამირება; 2. განხორციელებული ვიზიტების, ჩატარებული პრეზენტაციების, სატელევიზიო რეკლამების, გარე და ონლაინ რეკლამების, პრეს და ინფოტურების, საერთაშორისო გამოფენების რაოდენობა. მომზადებული საპრომოუშენო მასალები 3. დამზადებული ვიდეო რგოლი. | გაზრდილია ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობა; გაზრდილია ტურიზმის სფეროში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა. ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობა და ზრდა დინამიკაში; განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა და ზრდა დინამიკაში; დასაქმების მაჩვენებლის ზრდა. |

სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია მერის მიერ ხელმოწერილ წევრობის ფორმაში მოყვანილ სფეროებთან და მოიცავს შემდეგ თემატურ ბლოკებს: 1. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო; 2. უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება; 3. მიწა და ინფრასტრუქტურა; 4. წვდომა ფინანსებზე; 5. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი. სამოქმედო გეგმაში დეტალურადაა ნაჩვენები ყველა ის აქტორი, რომელიც კონკრეტული ღონისძიების განხორციელების პროცესში არის ჩართული. თითქმის ყველა აქტივობა ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის უშუალო ჩართულობით, თუმცა აქტივობების მხოლოდ 32,9%-ის ფინანსირება მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 51,8 % - მაღალი დონის ბიუჯეტიდან, 1,5% - ბიზნეს სექტორიდან, 0,5% - დონორი ორგანიზაციებიდან, ხოლო ბიუჯეტის 13,4%-ში გვაქვს წყვეტა დაფინანსებაში. მუნიციპალიტეტი გეგმავს აქტიური ფანდრაიზინგის დაწყებას დაფინანსების წყვეტის შესავსებად. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება უზრუნველყოფს დასახული 3 მიზნის მიღწევას.

## 10. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

| ქმედება | ხანგრძლივობა | შედეგები თვე 1-6 | შედეგები თვე 7-12 | შედეგები თვე 13-18 | შედეგები თვე 19-24 |
|---|---|---|---|---|---|

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.1 ბიზნესის ხელშეწყობის ინსტიტუციური და მარეგულირებელი მექანიზმების შექმნა | 2019-2020 | მომზადებულია ტექნიკური დავალება და გამოცხადებულია ტენდერი;<br>შერჩეულია სექტორები, რომლებთანაც გაიმართება ღია დიალოგის შეხვედრები.<br>ჩატარებულია 2 თემატური შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. | გაფორმებულია ხელშეკრულება და მიმდინარეობს ქალაქ ბათუმის სივრცით ტერიტორიული მოწყობის დოკუმენტაციის შემუშავება;<br>ჩატარებულია 2 თემატური შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. | მიმდინარეობს ქალაქ ბათუმის სივრცით ტერიტორიული მოწყობის დოკუმენტაციის შემუშავება; | შემუშავებულია ქალაქ ბათუმის სივრცით ტერიტორიული მოწყობის დოკუმენტაცია;<br><br>ჩატარებულია 2 თემატური შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. |
| 1.2. ელექტრონული სერვისების დანერგვა და ბიზნესის მომსახურების „ერთი ფანჯრის“ პრინციპის ამოქმედება | 2019-2020 | დაკომპლექტსებულია მუნიციპალიტეტის 2 სერვის ცენტრი; აღრიცხულია მუნიციპალური სერვისები და შექმნილია სერვისების რუქა; | სერვისების აღრიცხვის საფუძველზე მომზადებულია ტექნიკური დავალება ელექტრონიზაციისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვისთვის, ტექნიკური აღჭურილობის შესყიდვისთვის.<br>მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრის (2ერთეული) მშენებლობისთვის ტენდერის გამოცხადება და ხელშეკრულების გაფორმება; | მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრის (2ერთეული) მშენებლობის სამუშაოების დასრულება და ამოქმედება.<br>სერვისების ელექტრონიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების უზრუნველყოფა | მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრის (2ერთეული) მშენებლობის სამუშაოების დასრულება და ამოქმედება.<br>სერვისების ელექტრონიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების უზრუნველყოფა |
| 1.3. ბიზნეს სექტორისათვის სახელმწიფო/მუნიციპალური ქონებაზე წვდომის გაუმჯობესება და მეწარმეობის სტიმულირება | 2019-2020 | მომზადებულია ტექნიკური დავალება ქონების ინვენტარიზაციის და პროგრამული უზრუნველყოფის ტენდერისათვის;<br><br>ქ. ბათუმის საინვესტიციო კატალოგის შემუშავების მიზნით მომზადებულია მეთოდოლოგია, ჩამოყალიბებულია სამუშაო ჯგუფი.<br><br>აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან გადმოცემული მიწა ინოვაციური სამეწარმოე ბიზნეს ცენტრის შექმნისათვის. | გამოცხადებულია ტენდერი და შერჩეულია გამარჯვებული კომპანია, გაფორმებულია ხელშეკრულება;<br><br>მომზადებულია ქ. ბათუმის საინვესტიციო კატალოგის ბეჭდვითი და ელექტრონული ვერსიები. მომზადებულია საინვესტიციო პროექტები.<br><br>მომზადებულია ტექნიკური დავალება ინოვაციური სამეწარმოე ბიზნეს ცენტრის შექმნისათვის. დაწყებულია პროექტირებისა და მშენებლობის სამუშაოები. | მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ მიმდინარეობს ინვენტარიზაციისა და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის სამუშაოები.<br><br>შექმნილია და ამოქმედებულია ინდუსტრიული საწარმოო ბიზნეს ცენტრი. | შემუშავებულია ქონების ინვენტარიზაციის პროგრამა და პროგრამაში შეყვანილია ქ. ბათუმში არსებული ქონების შესახებ ინფორმაცია.<br><br>დაწყებულია საინკუბაციო პროცესი |
| 1.4 ბიზნეს და საინცესტიციო ფორუმებისა და თემატური ფესტივალების ორგანიზება და მათში მონაწილეობა. | 2019-2020 | ქ. ბათუმმა ორგანიზება გაუწია და მონაწილეობა მიიღო მინიმუმ 20 საინვესტიციო ღონისძიებას; ორგანიზებული და ჩატარებულია თემატური 3 ფორუმის/ფესტივალი. | ქ. ბათუმმა ორგანიზება გაუწია და მონაწილეობა მიიღო მინიმუმ 20 საინვესტიციო ღონისძიებას; ორგანიზებული და ჩატარებულია თემატური 3 ფორუმის/ფესტივალი. | ქ. ბათუმმა ორგანიზება გაუწია და მონაწილეობა მიიღო მინიმუმ 20 საინვესტიციო ღონისძიებას; ორგანიზებული და ჩატარებულია თემატური 3 ფორუმის/ფესტივალი. | ქ. ბათუმმა ორგანიზება გაუწია და მონაწილეობა მიიღო მინიმუმ 20 საინვესტიციო ღონისძიებას; ორგანიზებული და ჩატარებულია თემატური 3 ფორუმის/ფესტივალი. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2.1. შრომის ბაზარზე ნაკლებპრივილეგირებული დასაქმების სტიმულირება | 2019-2020 | უზრუნველყოფილია შრომის ბაზარზე ნაკლებპრივილეგირებული (სტუდენტები, შშ პირები, კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების მქონდე პირები) 200 პირის გადამზადება და დასაქმების სტიმულირება და 50 პირის შრომის ანაზღაურების 200 ლარით სუბსიდირება | უზრუნველყოფილია შრომის ბაზარზე ნაკლებპრივილეგირებული (სტუდენტები, შშ პირები, კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების მქონდე პირები) 200 პირის გადამზადება და დასაქმების სტიმულირება და 50 პირის შრომის ანაზღაურების 200 ლარით სუბსიდირება | უზრუნველყოფილია შრომის ბაზარზე ნაკლებპრივილეგირებული (სტუდენტები, შშ პირები, კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების მქონდე პირები) 200 პირის გადამზადება და დასაქმების სტიმულირება და 50 პირის შრომის ანაზღაურების 200 ლარით სუბსიდირება | უზრუნველყოფილია შრომის ბაზარზე ნაკლებპრივილეგირებული (სტუდენტები, შშ პირები, კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების მქონდე პირები) 200 პირის გადამზადება და დასაქმების სტიმულირება და 50 პირის შრომის ანაზღაურების 200 ლარით სუბსიდირება |
| 2.2. ბიზნეს და სამეწარმეო უნარებზე ტრენინგ-სემინარების ჩატარება და კონსულტაციების გაწევა | 2019-2020 | უზრუნველყოფილია ბიზნესთან დაკავშრებულ საკითხებზე 50-მდე ტრენინგისა და საკონსულტაციო შეხვედრის ჩატარება | უზრუნველყოფილია ბიზნესთან დაკავშრებულ საკითხებზე 50-მდე ტრენინგისა და საკონსულტაციო შეხვედრის ჩატარება | უზრუნველყოფილია ბიზნესთან დაკავშრებულ საკითხებზე 50-მდე ტრენინგისა და საკონსულტაციო შეხვედრის ჩატარება | უზრუნველყოფილია ბიზნესთან დაკავშრებულ საკითხებზე 50-მდე ტრენინგისა და საკონსულტაციო შეხვედრის ჩატარება |
| 2.3. ბათუმის ისტორიული განაშენიანების საზღვრების ეზოებში კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერა | 2019 | ძველი ბათუმის უბანში შერჩეულია 10 ეზო. მომზადებულია ეზოებში მცირე კომერციული პროექტების ბიზნეს გეგმები; მომზადებულია ტექნიკური დავალება ინვენტარისა და კეთილმოწყობისათვის. | პროექტირების საფუძველზე განხორციელებულია შერჩეული ეზოების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ასევე ბიზნესის ამოქმედებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა (10 პროექტი) | შერჩეულ 10 ეზოში ფუნქციონირებს მცირე კომერციული პროექტები | შერჩეულ 10 ეზოში ფუნქციონირებს მცირე კომერციული პროექტები |
| 2.4 ინოვაციური და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება | 2019-2020 | შემუშავებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების საინკუბაციო ცენტრის კონცეფციია; საინჟინრო მიმართულების სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვილობის გაძლიერება, დაინტერესებული პირების მიერ პროექტების განხორციელება, პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება. | შექმნილია 6 სივრცე და ტექნიკურად აღჭურვილია საინფორმაციო ტექნოლოგიების საინკუბაციო ცენტრი; საინჟინრო მიმართულების სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვილობის გაძლიერება, დაინტერესებული პირების მიერ პროექტების განხორციელება, პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება. | საინფორმაციო ტექნოლოგიების საინკუბაციო ცენტრში შესაბამისი ბიზნეს სუბიექტების განთავსება და ინკუბაცია (6 ერთეული); საინჟინრო მიმართულების სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვილობის გაძლიერება, დაინტერესებული პირების მიერ პროექტების განხორციელება, პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება. | საინფორმაციო ტექნოლოგიების საინკუბაციო ცენტრში შესაბამისი ბიზნეს სუბიექტების განთავსება და ინკუბაცია (6 ერთეული); საინჟინრო მიმართულების სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვილობის გაძლიერება, დაინტერესებული პირების მიერ პროექტების განხორციელება, პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება. |
| 3.1. ქალაქის (რეგიონის) რეკლამირება 16 ქვეყანაში (სატელევიზიო რეკლამა, გარე რეკლამა, ონლაინ რეკლამა, პრეს და ინფოტურების ორგანიზება, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა); საინვესტიციო პოტენციალის შესახებ | 2019-2020 | მომზადებული საპრომოუშენო მასალები (1000 ერთეული); დამზადებული ვიდეო რგოლი (1); განხორციელდა ქალაქის (რეგიონის) მარკეტინგი 16 მიზნობრივ ქვეყანაში. (სატელევიზიო რეკლამა, გარე რეკლამა, ონლაინ რეკლამა, პრეს | მომზადებული საპრომოუშენო მასალები (1000 ერთეული); დამზადებული ვიდეო რგოლი (1); განხორციელდა ქალაქის (რეგიონის) მარკეტინგი 16 მიზნობრივ ქვეყანაში. | განხორციელდა ქალაქის (რეგიონის) მარკეტინგი 16 მიზნობრივ ქვეყანაში. (სატელევიზიო რეკლამა, გარე რეკლამა, ონლაინ რეკლამა, პრეს და ინფოტურების ორგანიზება, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა). | განხორციელდა ქალაქის (რეგიონის) მარკეტინგი 16 მიზნობრივ ქვეყანაში. (სატელევიზიო რეკლამა, გარე რეკლამა, ონლაინ რეკლამა, პრეს და ინფოტურების ორგანიზება, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა). |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საპრომოუშენო მასალების მომზადება და გავრცელება | | და ინფოტურების ორგანიზება, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა). | (სატელევიზიო რეკლამა, გარე რეკლამა, ონლაინ რეკლამა, პრეს და ინფოტურების ორგანიზება, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა). | | |
| **ბიუჯეტის დახარჯული %** | **100%** | **26,8%** | **26,8%** | **23,2%** | **23,2%** |

გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისათვის შეიქმნება ე.წ. მონიტორინგის კომიტეტი, რომელშიც შევა ყველა იმ უწყების წარმომადგენელი, რომლებიც პასუხისმგებელია სამოქმედო გეგმით გათვალისიწნებული აქტივობების განმახორციელებაზე. მინიტორინგის პროცესის გამჭვირვალობისათვის კომიტეტში გაერთიანებული იქნებიან სსო-ებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. მონიტორინგის პარალელურად მოხდება გეგმის განხორციელების ყოველკვარტალური და საშუალოვადიანი შედეგების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გეგმის კორექტირება.

## 12. დანართები

დანართი 1. ბრძანება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩევენთა საბჭოს შექმნის შესახებ

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

11/06/2018

2250-25-4-201806112028

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 2250

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის, სამოქალაქო ინიციატივების, რეკომენდაციების, მოსაზრებების, რჩევების შემუშავებისა და წარდგენის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" $86^1$ მუხლის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 5 თებერვლის N532 ბრძანებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების" შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. შეიქმნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო (შემდგომში - საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

| | | | |
|---|---|---|---|
| ა) | ნინო ინაიშვილი | - | საზოგადოება „ბათომი"-ს დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმძლვანელი; |
| ბ) | თემურ კაკაბაძე | - | „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის" დამფუძნებელი და თავმჯდომარე; |
| გ) | ნათია აფხაზავა | - | სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი; |
| დ) | ლაშა ნაკაშიძე | - | გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში - UNDP-GEF პროექტის „მწვანე ქალაქები: მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის" ხელმძღვანელი; |

| | | | |
|---|---|---|---|
| ე) | კახაბერ გუჩმანიძე | - | CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონში - კოორდინატორი აჭარაში; |
| ვ) | მაყვალა კვირიკაძე | - | შპს „მაკო"-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე; |
| ზ) | თამაზ თურმანიძე | - | შპს „რუსული რეგისტრი ვესტჯეორჯია"-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე; |
| თ) | თამარ ხუხუნაიშვილი | - | ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი - ექიმი-ლაბორანტი; საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის კოორდინატორი; |
| ი) | ზურაბ ჩიხლაძე | - | ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი; |
| კ) | გურამ ფუტკარაძე | - | აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი; |
| ლ) | მარიამ ბურკუნაძე | - | სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი. |

**2.** საბჭოს უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 5 თებერვლის N532 ბრძანებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით".

**3.** წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

**4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**5.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

დანართი 2. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი 04/09/2018

2583-25-4-201809041518

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 2583

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე**

პროექტი „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე." და „ე.ვ." ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას პროექტი „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ეთერ ლომაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) ჯაბა ტუღუში - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საინვესტიციო პოლიტიკისა და საგრანტო პროგრამების მართვის განყოფილების უფროსი (ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე);

ჯგუფის წევრები:

გ) ეგარსლან ლომაძე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი;

| | | |
|---|---|---|
| დ) | ემზარ ქავჟარაძე | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი; |
| ე) | ნინო ბეჟანიძე | ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საინვესტიციო პოლიტიკისა და საგრანტო პროგრამების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; |

ვ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებში დასაქმებული პირები (საჭიროების შემთხვევაში);

**მოწვეული წევრები:**

| | | |
|---|---|---|
| ზ) | ნათია აფხაზავა | სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი; |
| თ) | ასლან ლორთქიფანიძე | სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, თავმჯდომარის მოადგილე; |

**2.** ჯგუფის მდივნად დაინიშნოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საინვესტიციო პოლიტიკისა და საგრანტო პროგრამების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნინო ბეჟანიძე.

**3.** პროექტი „მერები ეკონომიკური ზრდისათვის" საკითხების განხილვა ჯგუფის მიერ განხორციელდეს საჭიროებისამებრ.

**4.** პროექტი „მერები ეკონომიკური ზრდისათვის" დაკავშირებული საკითხებისა და წინადადებების წარდგენა ჯგუფის მიერ განხორციელდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე.

**5.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**6.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ლ. კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

## დანართი 3. ადგილობრივი პარტნიორობის შეფასება

| დასახელება | ინსტიტუციები/ მონაწილე პირები | მიღწევები<br>ასევე მიუთითეთ თუ როგორ მუშაობს | შეფასება: |
|---|---|---|---|
| დასაქმების ხელშეწყობა | სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი | დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის კავშირების გაუმჯობესება და მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის სერვისის დანერგვა. თანამშრომლობას აქვს პერიოდული ხასიათი | სასარგებლო |
| ადგილობრივი ეკონომიკური და ურბანული განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მოქალაქეთა ჩართულობა | სამოქალაქო საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი, მუნიციპალიტეტი, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. | მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების გაუმჯობესება; რეკომენდაციები ადგილობრივი განვითარების საკითხებზე; რეკომენდაციები ურბანული განვითარების საკითხებზე; რეკომენდაციები ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებით. თანამშრომლობას აქვს მუდმივი ხასიათი. | სასარგებლო |
| ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, სამეწარმეო უნარების გაუმჯობესება | აჭარის ა/რ სავაჭრო სამრეწველო პალატა. ბიზნეს ასოციაციები, კერძო სექტორი | უზრუნველყოფს ტრენინგებსა და კონსულტაციებს, გამოფენებისა და ფორუმების ორგანიზებას. თანამშრომლობას აქვს მუდმივი ხასიათი. | სასარგებლო |
| DCFTA-ს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფი | სსო-ები, ბიზნეს სექტორი და საჯარო სექტორი | უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის ევროპის ბაზარზე გასვლის დამაბრკოლებელი ფაქტორების და მისის დაძლევის მექანიზმების გამოვლენას. | სასარგებლო |
| ადგილობრივი განვითარების გეგმების შემუშავება | მუნიციპალიტეტი, ბიზნეს სექტორი, NGO | მაღალი ჩართულობა განხილვებისა და მრგვალი მაგიდების ფორმატში | სასარგებლო |

## დანართი 4. მზარდი სექტორები და მათი გამოწვევები

| მზარდი სექტორი | მთავარი გამოწვევები, რომელთა გადაჭრისათვის საჭიროა ბიზნესის დახმარება |
|---|---|
| ტურიზმი | არასაკმარისად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა, ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე ინფორმაციის სიმწირე, დარგში არასაკმარისი ცნობიერების დონე, ბიზნესის საჭირო უნარების ნაკლებობა, მუნიციპალურ სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და დროში გაწელილი პროცედურები, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე ინფორმაციის ნაკლებობა. |
| მშენებლობა | ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის არარსებობა, სანებართვო პროცედურებთან დაკავშირებული სირთულეები და დროში გაწელილი პროცედურები, ელექტრონული სერვისების სიმცირე. მუნიციპალურ და სახელმწიფო ქონებაზე ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე ინფორმაციის ნაკლებობა. |
| ვაჭრობა | ბიზნესის საჭირო უნარების ნაკლებობა, ფინანსური რესურსების სიმცირე, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე ინფორმაციის ნაკლებობა, მუნიციპალურ სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და დროში გაწელილი პროცედურები. |
| მრეწველობა | ბიზნესისა და სამეწარმეო უნარების ნაკლებობა, მუნიციპალურ და სახელმწიფო ქონებაზე ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობა, მუნიციპალურ სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და დროში გაწელილი პროცედურები. ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე ინფორმაციის ნაკლებობა. |

## დანართი 5. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

| აღიარებული მარეგულირებელი გამოწვევები | ძლიერი/სუსტი უარყოფითი ზეგავლენა | მთავარი მონაწილე საჯარო უწყება | ადგილობრივი შერბილების/გაუმჯობესების მასშტაბი |
|---|---|---|---|
| სამშენებლო ნებართვების გაცემა | ძლიერი გავლენა სამშენებლო | ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი | შესაძლებელია სამომავლო გაუმჯობესება |
| ქონების პრივატიზება აუქციონის ფორმით | სუსტი უარყოფითი ზეგავლენა ბიზნესზე | ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი | ვერ ხერხდება |
| უძრავი ქონების შესახებ დაინტერესებულ მხარეებზე ინფორმაციის მიწოდება | სუსტი უარყოფითი ზეგავლენა ბიზნესზე | ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი; აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; საქართველოს ქონების ეროვნული სააგენტო. | ქ. ბათუმში მდებარე უძრავი ქონების ბაზის შემუშავება და სხვადასხვა საჯარო უწყებებს შორის არსებული სუსტი კოორდინაციის შემცირება. |

## დანართი 6. კვალიფიციური უნარების სფეროში არსებული სიტუაცია

| სექტორი | უნარების არსებული სიტუაცია | პროგნოზირებადი სამომავლო სიტუაცია | შესაძლო მიმართულებები ქმედებებისათვის |
|---|---|---|---|
| ტურიზმი | კვალიფიციური კადრების დეფიციტი მომსახურების სექტორში. უცხო ენების ცოდნის დაბალი დონე. | მოთხოვნის მკვეთრი ზრდა (სეზონურად) | მომსახურების სფეროში ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით გადამზადება |
| მშენებლობა | ტექნიკური სპეციალისტის/ მუშახელის მცირე დეფიციტი; ინოვაციური/მაღალტექნოლოგიური უნარების დეფიციტი | ინოვაციური/ მაღალტექნოლოგიური უნარების მქონე კადრებზე მოთხოვნის ზრდა;<br>სამშენებლო მასალების წარმოებასთან დაკავშირებულ უნარებზე მოთხოვნის ზრდა | ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების ზრდის ხელშეწყობა |
| ვაჭრობა | სამეწარმეო/ მართვის უნარების მქონე კადრების დეფიციტი, უცხო ენების ცოდნის დაბალი დონე | უცხო ენების მცოდნე კადრებზე მოთხოვნის სუსტი ზრდა | სამეწარმეო/მართვის უნარების განვითარება |
| მრეწველობა | კვალიფიციური კადრების დეფიციტი, სწრაფი გადინება | ვიწრო სპეციალიზაციის მქონე კადრებზე მოთხოვნის ზრდა | სამეწარმეო/მართვის უნარების განვითარება |

დანართი 7. დაფინანსების სქემა

| ღონისძიებები | საორიენტაციო ღირებულება EU | დაფინანსების წყარო | | | | წყვეტა დაფინანსებაში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ადგილობრივი ბიუჯეტი | მაღალი დონის ბიუჯეტი | ბიზნესი | დონორები | |
| 1.1 ბიზნესის ხელშეწყობის ინსტიტუციური და მარეგულირებელი მექანიზმების შექმნა | 544 000 | 544 000 | | | | |
| 1.2. ელექტრონული სერვისების დანერგვა და ბიზნესის მომსახურების „ერთი ფანჯრის" პრინციპის ამოქმედება | 192 128 | 90 000 | | | 10 000 | 92 128 |
| 1.3. ბიზნეს სექტორისათვის სახელმწიფო/მუნიციპალური ქონებაზე წვდომის გაუმჯობესება და მეწარმეობის სტიმულირება | 864 000 | 637 400 | 17 000 | | 9 600 | 200 000 |
| 1.4 ბიზნეს და საინვესტიციო ფორუმებისა და თემატური ფესტივალების ორგანიზება და მათში მონაწილეობა. | 174 400 | 10 000 | 164 400 | | | |
| 2.1. შრომის ბაზარზე ნაკლებპრივილეგირებული დასაქმების სტიმულირება | 174 400 | 17 000 | 101 150 | 56 250 | | |
| 2.2. ბიზნეს და სამეწარმეო უნარებზე ტრენინგ-სემინარების ჩატარება და კონსულტაციების გაწევა | 16 000 | | 16 000 | | | |
| 2.3. ბათუმის ისტორიული განაშენიანების საზღვრების ეზოებში კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერა | 41 600 | 38 475 | | 3 125 | | |
| 2.4 ინოვაციური და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება | 285 000 | | 35 000 | | | 250 000 |
| 3.1. ქალაქის (რეგიონის) რეკლამირება 16 ქვეყანაში (სატელევიზიო რეკლამა, გარე რეკლამა, ონლაინ რეკლამა, პრეს და ინფოტურების ორგანიზება, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა); საინვესტიციო პოტენციალის შესახებ საპრომოუშენო მასალების მომზადება და გავრცელება | 1 768 960 | | 1 768 960 | | | |
| ჯამი: | **4 060 488** | **1 336 875** | **2 102 510** | **59 375** | **19 600** | **542 128** |

დანართი 8. სსიპ აჭარის ა.რ. სავაჭრო–სამრეწველო პალატასთან არსებული ასოციაციები

| № | ასოციაციის დასახელება |
|---|---|
| 1 | აჭარის ექსპორტიორთა ასოციაცია |
| 2 | აჭარის იმპორტიორთა ასოციაცია |
| 3 | აჭარის საბითუმო ვაჭრობისა და დისტრიბუტორთა ასოციაცია |
| 4 | აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაცია |
| 5 | აჭარის რძისა და რძის პროდუქტების ასოციაცია |
| 6 | მცირე და საშუალო ბიზნესმენთა  ასოციაცია |
| 7 | აჭარის  რესტორან–კაფე-ბარების ასოციაცია |
| 8 | აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაცია |
| 9 | მშენებელთა და დეველოპერთა ასოციაცია |
| 10 | საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია |
| 11 | აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირი |
| 12 | აჭარის მსხვილ მეწარმეთა ასოციაცია |
| 13 | აჭარის სამკურნალო მცენარეებისა და სანელებლების ასოციაცია |
| 14 | აჭარის მეფუტკრეობის ბიზნეს ასოციაცია |
| 15 | აჭარის ახალგაზრდა ბიზნესმენთა  ასოციაცია |
| 16 | აჭარის ტურიზმის განვითარების ასოციაცია |
| 17 | აჭარის მეთევზეობისა და აკვაკულტურის ასოციაცია |
| 18 | აჭარის მეთევზეთა ასოციაცია |
| 19 | ფერმერთა ასოციაცია "სუბტროპიკი" |
| 20 | ორგანული აკვაკულტურის  განვითარების ასოციაცია „ფორეჯი“ |
| 21 | აჭარის მეხორცეობის, ხორცის ნაწარმის, მეთევზეობისა და  მეფრინველეობის ასოციაცია |

# დანართი 9. ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადებასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრების ოქმები

**„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში**
**ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის**
**მომზადებასთან დაკავშირებით**

შეხვედრა ქ. ბათუმის ეკონომიკური განვითარების პროცესებით
დაინტერესებულ მხარეებთან

**შეხვედრის ჩატარების დრო:**
2018 წლის 9 ოქტომბერი

**შეხვედრის ჩატარების ადგილი:**
აჭარის ა/რ სავაჭრო სამრეწველო პალატა
მის: საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, მელაშვილის ქუჩა 26

**შეხვედრის მიზანი:**
„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ეკონომიკის სამოქმედო გეგმის მომზადებასთან დაკავშრებით თემატური ბლოკების, შესაბამისი გამოწვევების, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლოებისა და საფრთხეების განხილვა, ხედვასა და მიზნებზე მსჯელობა.

**შეხვედრას ესწრებოდნენ:**
1. ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, მეწარმეები;
2. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;
3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები;
4. საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლები;
5. სავაჭრო სამრეწველო პალატის წარმომადგენლები;
6. ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლები;
7. მოქალაქეები.

შეხვედრაზე „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ოფიცრის მიერ გაკეთდა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტისა და მისი მიზნების გაცნობა. ასევე როექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული თემატური ბლოკების სიტუაციური ანალიზების გაცნობა. გამოიკვეთა საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გამოწვევები, საჯარო სერვისების პროცედურებთან და ბიუროკრატიასთან დაკავშირებული გამოწვევები. მსჯელობა გაიმართა დასაქმებასა და კვალიფიკაციაზე, გამოიკვეთა ვიწრო სპეციალიზაციით გადამზადების საჭიროებები, ასევე უცხო ენების მიმართულებით სპეციალიზებული კურსების არსებობის საჭიროება. მჯელობა გაიმართა მიწათსარგებლობისა და მშენებლობის რეგულირების აუცილებლობასთან დაკავშირებით. ბიზნესისათვის სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებზე ინფორმირებულობის გაზრდის, ბიზნესის საკონსულტაციო სერვისის საჭიროებასთან დაკავშირებით.

შეხვედრის მონაწილეთა ხელმოწერები თან ერთვის ოქმს დანართის სახით (დანართი 2 გვ.)

09.10.2018

| № | სახელი, გვარი | ორგანიზაცია | საკონტაქტო ინფორმაცია ტელ. E-mail | ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | tturmanidze@gmail.com 577-57-12-77 | |
| 2 | [illegible] | [illegible] | 577304262 599397397 tamar.kerkhidze@gmail.com | |
| 3 | [illegible] | [illegible] | 595373731 TKakhidze@mail.ru | |
| 4 | [illegible] | [illegible] | I. Chikvaidze@olprint.nl | |
| 5 | [illegible] | [illegible] | mariamKakhadze970 gmail.com | |
| 6 | [illegible] | [illegible] | nazvestyam@mail.ru | |
| 7 | [illegible] | [illegible] | 599253006 | |
| 8 | [illegible] | [illegible] 2000 | marina.ciradze@mail.ru | |
| 9 | [illegible] | [illegible] | smilestudio103@gmail.com | |
| 10 | [illegible] | [illegible] | lenacenteradze@yaho.com | |
| 11 | [illegible] | [illegible] | Mayvalakvirikadze@gmail.com | |
| 12 | [illegible] | [illegible] | lagvarishvili@gmail.com | |
| 13 | [illegible] | [illegible] | anna2281@mail.ru | |
| 14 | [illegible] | [illegible] | K.Shavadze@yahoo.com | |
| 15 | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16 | [illegible] | DCFTA [illegible] | 577302690 etargamadze@gmail.com | |
| 17 | [illegible] | [illegible] | 595084141 JEMAL196511@gmail.com | |
| 18 | [illegible] | Бизнес-центр Океан | 568349393 Kranmach@mail.ru | |
| 19 | [illegible] | [illegible] | 593965462 galtalast[illegible] | |
| 20 | [illegible] | [illegible] | 577-71-12-76 | |
| 21 | [illegible] | [illegible] | 577906036 Surmanidze79@gmail.com | |
| 22 | [illegible] | [illegible] | 568226673 | |
| 23 | [illegible] | [illegible] | 599138745 Katuna.Bolkvadze@gmail.com | |
| 24 | [illegible] | [illegible] | 577 24 15 31 n.bezhanidze@cu.edu.ge | |
| 25 | [illegible] | [illegible] | 599 732252 [illegible]@gmail.com | |
| 26 | [illegible] | [illegible] 2016" | Sulaberidze1977@mail.ru | |
| 27 | [illegible] | [illegible] 2016" | tinatinatinati2010@mail.ru | |
| 28 | [illegible] | [illegible] | jujuna_jijavadze@mail.ru | |
| 29 | [illegible] | [illegible] | 577-78-19-77 | |
| 30 | [illegible] | [illegible] | 557 722936 | |
| 31 | | | surmanidze.natia[illegible]@gmail.com | |
| 32 | | | | |

**„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით**

შეხვედრა აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან

შეხვედრის ჩატარების დრო:
2018 წლის 16 ოქტომბერი.

შეხვედრის ჩატარების ადგილი:
აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.
მის: ფარნავაზ მეფის ქ. 84/86, ბათუმი (6010), საქართველო.

**შეხვედრის მიზანი:**

„მერები ეკონომიკური ზრდისსთვის" პროექტის ფარგლებში მომზადებული ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის გაცნობა, ქალაქ ბათუმის ხედვაზე, პრიორიტეტებსა და სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება.

**შეხვედრას ესწრებოდნენ:**
სულხან ღლონტი - აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე;
თამარ კაიკაციშვილი - - აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
ეთერ ლომაძე - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ოფიცერი.

შეხვედრაზე განხილული იქნა ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, თემატური ბლოკები, კერძოდ გეგმაში მოცემული ტურიზმთან დაკავშირებული სტატისტიკური და ანალიტიკური ხასიათის ინფორმაცია, ქალაქის ხედვა, მიზნები და მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები. შეხვედრაზე ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება და შეთანხმდა, რომ სამოქმედო გეგმაში აისახოს რეგიონისა და ქალაქის მარკეტინგთან დაკავშირებული, დეპარტამენტის უფლებამოსილების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები 2018-2020 წლებისათვის.

სულხან ღლონტი
აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების
დეპარტამენტის თავმჯდომარე

თამარ კაიკაციშვილი
აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების
დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ეთერ ლომაძე
„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ოფიცერი.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში
ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის
მომზადებასთან დაკავშირებით

შეხვედრა აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან

**შეხვედრის ჩატარების დრო:**
2018 წლის 24 ოქტომბერი.

**შეხვედრის ჩატარების ადგილი:**
აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან
მის: საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119

**შეხვედრის მიზანი:**
„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში მომზადებული ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის გაცნობა, ქალაქ ბათუმის ხედვაზე, პრიორიტეტებსა და სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება.

**შეხვედრას ესწრებოდნენ:**
თორნიკე კუჭავა - აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე;
ეკატერინე ბახტაძე - აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
ეთერ ლომაძე - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ოფიცერი.

შეხვედრაზე განხილული იქნა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის მიზნები, ამოცანები და გეგმის მომზადების მეთოდოლოგია; ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია; თემატური ბლოკები, კერძოდ გეგმაში მოცემული ადგილობრივი ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული სტატისტიკური და ანალიტიკური ხასიათის ინფორმაცია; ქალაქის ხედვა, მიზნები და მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები. შეხვედრაზე აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება და შეთანხმდა, რომ ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმაში აისახოს აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი ის ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ პასუხობს პროექტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და ხელს შეუწყობს ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.

აღნიშნული ღონისძიებები მიწოდებული იქნება პროექტის ოფიცრისთვის ერთი სამუშაო კვირის ვადაში.

**თორნიკე კუჭავა**
აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
პირველი მოადგილე

**ეკატერინე ბახტაძე**
აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის უფროსი

**ეთერ ლომაძე**
„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ოფიცერი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი N 6

ქალაქი ბათუმი

15 ნოემბერი, 2018 წელი (18 : 00 სთ)

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. გურამ ფუტკარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
2. თამაზ თურმანიძე - შპს „რუსული რეგისტრი ვესტჯორჯია''-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
3. მაყვალა კვირიკაძე - შპს „მაკო''-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
4. კახაბერ გუჩმანიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში (USAID / WMTR II) - რეგიონული კოორდინატორი აჭარაში;
5. თამარ ხუხუნაიშვილი - ქ.ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი - ექიმი-ლაბორანტი; საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის კოორდინატორი;
6. თემურ კაკაბაძე - „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის'' დამფუძნებელი და თავმჯდომარე ;
7. ზურაბ ჩიხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
8. მარიამ ბურკენაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი;
9. ნათია აფხაზავა - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი ;
10. ლაშა ნაკაშიძე - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში - UNDP – GEF - პროექტის „მწვანე ქალაქები მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის'' ხელმძღვანელი;

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ - გვერდზე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 10, არ ესწრებოდა 1 .

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა წარმოდ-გენილ დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათ -ვალისწინებული საკითხები.

საკითხი 1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების შედგენის წესის პროექტის განხილვა (პრეზენტაცია / კითხვა-პასუხი)

მომხსენებელი : ედნარ ნატარიძე - საფინანსო სამსახურის უფროსი (10 წთ);

მომხსენებელმა ედნარ ნატარიძემ და ასევე ქ.ბათუმის მერისს მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა აკაკი გვიანიძემ საბჭოს და სხდომის სხვა დამსწრე წევრებს წარუდგინეს - მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესისი დამტკიცების შესახებ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტი და ასევე მასთან ინტეგრი-რებული ინტერნეტპლატორმა.

პრეზენტაციის წარმოდგენის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ - ედნარ ნატარიძეს მიაწოდა (ბეჭდური სახით) საბჭოს რიგი წევრების მიერ წინასწარ შემუშავებული შემდეგი კითხვები : -

1. მომდევნო წელს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში მიახლოებით რა ოდენო -ბით იგეგმება, რომ განისაზღვროს - ა) განსახორციელებელი პროექტების საერთო ბიუჯეტი ? ბ) რაოდენობა ? გ)თითოეული პროექტის დაფინანსების მაქსიმალურ ოდენობა ? 2.ქ.ბათუმის მერიის მიერ განსაზღვრული დასაფინანსებელი პროექტების წარდგენის ფორმები და ვადები ცვალებადი იქნება ? 3. რამდენად ეფექტურად მიგაჩნიათ საუბნო კავშირების გამოყენება მაქსიმალური ჩართულობისა და პროექტების საჯაროობის უზრუნველყოფის კუთხით ? 4. საპროექტო განაცხადების პირველადი ანალიზის პირობებში რა ფორმით და როგორ დადგინ დება წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის ბიუჯეტის სიზუსტე / განხორციელდება წარმოდგენილი პროექტის ბიუჯეტის ფინანსური აუდიტი? 5. საპროექტო განაცხადების შეუსაბამობის შემთხვევაში არის თუ არა შემუშავებული პლატფორმაზე ინტეგრირებული სპეციალური ფორმა (სამოტივაციო) სადაც კონკრეტულ წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატო -რებზე დაყრდნობით მიეთითება დეტალური მიზეზები ? ( მუხლი 4.6 ) 6. საქმიანობის არსიდან გამომდინარე საპროექტო განაცხადების რა თემატური ჯგუფებია განსაზღვრული ? არის თუ არა შეზღუდული განცხადების თემატიკა ? 7. საპროექტო განაცხადების შერჩევი -სას საქმიანობის მუნიციპალურ პროგრამებთან კავშირი ან დუბლირება ჩაითვლება თუ არა დამაბრკოლებელ გარემოებათ ? 8. მუხლი 5.10 - არის თუ არა პლატფორმაზე ინტეგრირე-ბული შესაბამისი ფორმა (კითხვარი / ინდიკატორები) რითიც უნდა იხელმძღვანელოს მრჩეველთა საბჭომ უარის (დაწუნების) დეტალური მიზეზების განსაზღვრისას ?

ასევე სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა, რომ განხილვისას თუ წამოიჭრე ბა საკითხის ირგვლივ კითხვები საბჭოს წევრები მიმართავენ მომხსენებელს.

გაიმართა განხილვა, კამათში და პოლემიკაში აქტიურად ჩაებნენ საბჭოს წევრები. წარმოდგენილ შეკითხვებს კომპეტენტური და სრულად ამომწურავი პასუხები გაცეს - ედნარ ნატარიძემ და აკაკი გვიანიძემ ( ქ.ბათუმის მერია) ასევე ვახტანგ გორდელაძემ (USAID GGI).

საბჭოს წევრმა ნათია აფხაზავამ და დამსწრემ თეონა დიასამიძემ დასვეს საკითხი იმის თაობაზე, რომ პროექტის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილი იქნებოდა ქ.ბათუმის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან ერთად პროექტის

განხორციელებაში ჩართულ მხარედ ასევე განისაზღვრულიყო ქ.ბათუმის საკრებულოს მრჩეველთა საბჭო - რასაც განხილვებისა და ვახტანგ გორდელაძის მხრიდან კონკრეტული არგუმენტების მოსმენის შემდგომ საბჭომ არ დაუჭირა მხარი.

საბჭოს წევრმა ნათია აფხაზავამ დააყენა საკითხი რომ საბჭოს სხდომის 50 % წარმომადგენლობა გაზრდილიყო 70 % მდე მაინც, რაზეც სხდომის თავმჯდომარემ - კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა, რომ რადგან პროექტი საპილოტეა და ასევე ის გარემოება, რომ ხშირად რთულდება საბჭოს წევრთა 50 % ოდნავ მეტის მობილიზება წინასწარ ჩანიშნულ სხდომებზეც კი, ხოლო ნაწილი წევრების აქტივობა დასწრების კუთხით მინიმალურია, უპრიანი იქნებოდა ამ ნაწილში პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი (50 %) დაეტოვებინათ და დაკვირვების შემდგომ თუ დასწრება იმატებდა ემსჯელათ სხდომაზე, კახაბერ გუჩმანიძის მოსაზრებას მხარი დაუჭირა საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობამ.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ - კახაბერ გუჩმანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი პროექტის მნიშვნელობაზე და ხაზგასმით აღნიშნა პროექტის როლი სამოქალაქო ჩართულობის ამაღლების კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ გუჩმანიძემ - მიმართა დამსწრე წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილ საკითხზე ქ.ბათუმის მერისთვის რეკომენდაციის მიცემის თაობაზე.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ საკითხს.

*გადაწყდა : ,,მოწენებული იქნეს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ წარმოდგენილი მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების პროექტი ინტეგრირებული ინტერნეტპლათფორმით და მრჩეველთა საბჭოს დებულების მე - 6 მუხლის მე - 2 პუნქტის თანახმად მიეცეს რეკომენდაცია (წინადადება) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს ზემოაღნიშნული ბრძანების ხელმოწერისა და შემდგომი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით "*

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე შესაბამისი წერილის მომზადება და წარდგენა ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

საკითხი 2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (2018 - 2020) - სამუშაო ვერსიის - პრეზენტაცია - განხილვა / კითხვა-პასუხი.

მომხსენებელი : ეთერ ლომაძე - ქ.ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი (20 წთ)

მომხსენებელმა ეთერ ლომაძემ საკითხთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისი პრეზენტაცია სლაიდებით.

საბჭოს წევრებმა საკითხის ირგვლივ დასვეს შეკითხვები.

კახაბერ გუჩმანიძემ მომხსენებელს კითხა - 1) ქალაქის რა პროფილის ეკონომიკური დივერსიფიკაცია იგეგმება ? 2) რა ეტაპზეა ინდუსტრიული ზონის საკითხის მიმდინარეობა ?

ნათია აფხაზავამ, ზურაბ ჩიხლაძემ, თამაზ თურმანიძემ და მაყვალა კვირიკაძემ დასვეს კითხვები ქალაქის შემდგომი ეკონომიკური განვითარების ირგვლივ, ასევე არსებულ გამოწვევებზე.

ზურაბ ჩიხლაძე დაინტერესდა მერიის ხელთ არსებული სტატისტიკით და იმით თუ რა მონაცემთა ბაზა გააჩნიათ საკითხის უფრო სიღრმისეული კვლევის კუთხით.

საკითხის ირგვლის გაიმართა მსჯელობა.

კითხვებს მომხსენებლის მხრიდან კომპეტენციის ფარგლებში გაეცა ამომწურავი პასუხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ეთერ ლომაძეს წარმოდგენილი პრეზენტაციისა და საკითხის ირგვლივ მიღებული კვალიფიციური  პასუხებისთვის.

საკითხი 3.  ქ.ბათუმის ერთიანი მუნიციპალური სერვისების დიგიტალიზაცია, ერთი ფან - ჯრის პრინციპი, საჯარიმო - სასანქციო ღონისძიებები, სამართალდარღვევების გამოვლენა უკანონო მშენებლობები, გარე ვაჭრობა და არსებული გამოწვევები.

(ფორმატი - არსებულ მდგომარეობაზე ზოგადი ინფორმაციის მოსმენა - ქ.ბათუმის მერიის ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო  / კითხვა - პასუხი)

ა(ა)იპ ,,მუნიციპალური სერვისების სააგენტოს მხრიდან სხდომას ესწრებოდა - სააგენტოს იურისტი ლაშა მამაულაძე.

სხდომის თავმჯდომარემ  - ლაშა მამულაძეს მიაწოდა  (ბეჭდური სახით)  საბჭოს რიგი წევრების მიერ წინასწარ შემუშავებული შემდეგი კითხვები  : -

1.რა ღონისძიებები განხორციელდა სერვისების ავტომატიზაციისა და ,,ერთი ფანჯრის" პრინციპის ამოქმედების, ერთიანი ელექტრონული და გეოსერვისების პორტალის შექმნის კუთხით ?   2.მუნიციპალიტეტში ინფორმაციის სფეროში რა პოლიტიკა იქნა შემუშავებული და დანერგილი ? რა მდგომარეობაა თანამედროვე ტექნოლოგიების კუთხით ? 3. შექმნილია თუ არა მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზა და განხორციელდა თუ არა ინვენტარიზა- ცია ? აღრიცხულია თუ არა მატერიალური ფასეულობები და განთავ სებულია თუ არა ის ? 4. მუნიციპალური სერვისების და სერვისების სარგებლობის კუთხით მოსახლეობის თვის ასევე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის  ინფორმაციის მიწოდების კუთხით რა ღონისძიებე - ბი ხორციელდება ? რამდენადაა გაუმჯობესებული მათი ჩართულობა მუნიციპალურ სერვი - სებზე წვდომის კუთხით ?   5 .  რა მდგომარეობაა უნებართვო ან დარღვევით მშენებარე ობიექტების გამოვლენის კუთხით ? რა ზომები იქნა გატარებული მათ მიმართ ? გამოვლენის სტატისტიკის კუთხით შეიმჩნევა თუ არა მატება ?   6. რა მდგომარეობაა ზოგადად - ნარჩენების მართვის, გარე რეკლამის, იერსახის და სხვა ადმინისტრაციულ -  სამართალდარ ღვევათა გამოვლენის კუთხით ? საკმარისია თუ არა არსებული ადამიანური რესურსი ?  7. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ გარე ვაჭრობის აღკვეთის კუთხით ? 8. რა ღონისძიებები იქნა გატარებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკიდურეს სირარიბეში მყოფი ოჯახე- ბის მოძიებისა და მათი მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის  გავლის კუთხით ? რა აქტივობით თანამშრომლობთ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ?  9. არის თუ არა ადექვატური რეაგირე დღის სხვადასხვა საათებში ფოიერვერკების უსისტემო გაფრქვევებზე და სხვასხვა საზ.კვების ობიექტებიდან გადაჭარბებულ ხმაურზე ? რას გეგმავთ ღონისძიებების გამკაც - რების კუთხით ?

საბჭოს მომხსენებელმა - ლაშა მამულაძემ მიაწოდა მის ხელთ არსებული კონკრეტული სტა - ტისტიკა, იმსჯელა სამსახურის წინაშე მდგარ სხვადასხვა გამოწვევებზე, ასევე დეტალურად და ამომწურავად შეეხო დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს, როგორიცაა - ღამის

საათებში ფოიერვერკების გაფრქვევა, ხმაურის გადაჭარბება, საჯარიმო და სასანქციო პოლიტიკა და სხვა.

საბჭოს წევრებმა დასვეს სხვადასხვა კითხვები სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებ'ზე, ასევე იმსჯელეს საბჭოს ჩართულობაზე სააგენტოს წინაშე არსებული პრობლე - მების მოგვარებისა და გადაჭრის კუთხით. მომხსენებელი ლაშა მამულაძე ვრცლად და კვა- ლიფიციურად შეეხო გარე ვაჭრობის კუთხით არსებულ მდგომარეობას, მოიყვანა პრაქტიკუ- ლი მაგალითები საკითხის უკეთ წარმოჩენის კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ - კახაბერ გუჩმანიძემ მადლობა გადაუხადა - ლაშა მამულაძეს საბჭოსთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი და კომპეტენტური პასუხების გაცემის გამო და გამოთქვა შემდგომი აქტიური თანამშრომლობის სურვილი.

საკითხი 4. ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პილიტიკა და გამოწვევები, პარკირების კუთხით არსებული პრობლემატიკა, არსებული სტანდარტები.

მომხსენებელი : - ზურაბ ჩიხლაძე (სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი - 5 წთ. ზეპირი მოხსენება)

საკითხი : - მოსაზრების გაცნობა პარკირების და სატრანსპორტო საცობების განტვირთვასთან დაკავშირებით.

(ფორმატი - კითხვა - პასუხი / ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის - შპს ,,ავტოტრანსპორ- ტი '' და ბათუმის საქალაქო ტრანსპორტის განყოფილება)

საბჭოს თავმჯდომარემ - კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად მერისადმი წერილო ბითი თხოვნისა სხდომას არ ესწრება შპს ბათუმის ავტოტრანსპორტის ხელმძღვანელი და არც სამსახურის რომელიმე წარმომადგენელი, ხოლო აღნიშნულის თაობაზე მას არ მიუღია რაიმე ტიპის შეტყობინება სხდომაზე არდასწრების მიზეზების განმარტების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მსგავსი ქმედება ნეგატიურად აისახება საბჭოსა და შპს ბათუმის ავტოტრანსპორტის შემდგომ კონსტრუქციულ და საქმიან თანამშრომლობაზე.

საბჭოს თავვმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო ტრანსპორტის განყოფილების უფროსს - ემზარ ქავჟარაძეს სხდომაზე მობრძანე - ბისთვის და აღნიშნა, რომ მისი მრავალწლიანი გამოცდილების გაზიარება დადებითად აისახება საბჭოს საკითხის ირგვლივ ინფორმირების კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ - ემზარ ქავჟარაძეს მიაწოდა (ბეჭდური სახით) საბჭოს რიგი წევრების მიერ წინასწარ შემუშავებული შემდეგი კითხვები : -

1. არსებული ტარიფები არის თუ არა საკმარისი სატრანსპორტო სფეროს გამართული მუშაობისათვის ? 2. რა პრინციპით განხორციელდა / ხორციელდება მუნიციპალური ტრანსპორტის მარშრუტის განსაზღვრა ? პასუხობს თუ არა არსებული მარშუტი გამოწვევებს გადატ- ვირთული სატრანსპორტო ტრაფიკის პირობებში ? 3. წესდებით განსაზღვრული ახალი დამატებითი ფუნქციით შპს ,,ავტოტრანსპორტს'' ევალება საგზაო მოძრაობის რეგულირებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ -ტექნიკურ ღონისძიებათა უზრუნველყოფა: - განთავსდა თუ არა ;ქ.ბათუმის ტერიტო-რიაზე - გამაფრთხილებელი, პრიორიტეტის, ამკრძალავი, მიმთითებელი და სხვა ნიშნები ? 4. განხორციელდა თუ არა / როდის იგეგმება - სიჩქარის შემანელებელი ბარიერების მოწყობა ? მიახლოებით რა ლოკაციები იქნება ამისთვის შერჩეული და რა ძირითადი პარამეტრებია განსაზღვრული აღნიშნული ღონისძიების უზრუნველსაყოფად ? 5. იგეგმება თუ არა და სად ე.წ. ,,ჭკვიანი

შუქნიშნების'' განთავსება ? ხომ არ ფიქრობთ, რომ რიგ შემთხვევებში ქ.ბათუმის ურბანისტიკა ბოლომდე ვერ პასუხობს იმ მოთ - ხოვნებს რაც საჭიროა „ჭკვიანი შუქნიშნების'' განთავსებით სასურველი ეფექტის მისა-ღებათ ? ხომ არ ფიქრობთ რომ ის რიგ შემთხვევებში აფერხებს სატრანსპორტო ტრაფიკს ? 6. რა მდგომარეობაა პარკირების ადგილების მოწყობა-დახაზვის და საგზაო ნიშნებით აღჭურვის კუთხით ? არის თუ არა შემუშავებული კონკრეტული კონცეფცია ან გეგმა-გრაფიკი ? 7. რა მდგომარეობაა პარკირების მონიტორინგის კუთხით - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მოცულობამ იმატა თუ იკლო წინა წლებთან შედარებით ? რა ძირითადი ღონისძიებები გაქვთ დაგეგმილი პარკირების საკითხის მოსაგვარებლად ? 8. საზოგადოებრივ სივრცეებში პარკირების ადგილების განსაზღვრისა და მოწყობის კუთხით რა წინადადებები გაქვთ შემუშავებული ? 9. იგეგმება თუ არა ფასიანი პარკირების სისტემის ფართო დანერგვა და რა ძირითად გამოწვევებს ხედავთ ამ კუთხით ?

ემზარ ქავჟარაძემ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს - თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია და გასცა კომპეტენტური პასუხები, ის ასევე შეეხო ქალაქის წინაშე სატრანსპორტო კუთხით არსებულ გამოწვევებს, მოიყვანა არაერთი მაგალითი საკითხის უკეთ წარმოჩენის კუთხით.

საბჭოს წევრმა ზურაბ ჩიხლაძემ გააკეთა სიტყვიერი მოხსენება და სხდომაზე დამსწრეთ გააცნო თავისი მოსაზრება პარკირებასტან დაკავშირებით მანამდე კი მიმართა კითხვით ემზარ ქავჟარაძეს კონკრეტულ სტატისტიკასთან დაკავშირებით, გაიმართა მსჯელობა დაისვა შეკითხვები საბჭოს სხვა წევრთა მხრიდანაც.

აქტიური პოლემიკის შემდგომ, რადგან ჯერ კიდევ ვერ გამოიკვეთა საბჭოს კონკრეტული ხედვა - სატრანსპორტო სკიითხებზე, უფრო ამომწურავი მსჯელობის გამართვის მიზნით უახლოეს მომავალში დაიგეგმა კიდევ ერთი სამუშაო შეხვედრა ემზარ ქავჟარაძესთან, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია კიდევ ერთხელ უფრო ფართო და ხანგრძლივ ფორმატში მოისმინოს ემზარ ქავჟარაძის მაღალპროფესიული და კომპეტენტური ხედვა არსებულ სატრანსპორტო გამოწვევებზე. თავის მხრივ ემზარ ქავჟარაძემ გამოთქვა საბჭოსთან თანამშრომლობის მზაობა. სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ემზარ ქავჟარაძეს სხდომაზე დასწრებისა და კითხვებზე კომპეტენტური პასუხის გაცემისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მსჯელობის შემდეგ სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი

მარიამ ზურკენაძე

## ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

15 ნოემბერი 2018. ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(მრჩეველთა საბჭოს წევრები)

| # | Name<br>სახელი, გვარი | Institution<br>ორგანიზაცია | Contact information/E-mail<br>საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა | Signature<br>ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|
| 1. | [illegible] | | 577-16-13-95 | [signature] |
| 2. | [illegible] | | 577 57 4000 | [signature] |
| 3. | [illegible] | [illegible] | 558-98-23-23 | [signature] |
| 4. | თამარ თურმანიძე | [illegible] | 577-57-12-77<br>tturmanidze@gmail.com | [signature] |
| 5. | [illegible] | [illegible] | 599 36 85 84<br>t.khubhunaishvili@gmail.com | [signature] |

| # | Name<br>სახელი, გვარი | Institution<br>ორგანიზაცია | Contact information/E-mail<br>საკონტაქტო ინფორმაცია/ელ-ფოსტა | Signature<br>ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|
| 6. | [illegible] | [illegible] | 599 777185<br>natia@civilin.org | [signature] |
| 7. | [illegible] | [illegible] | | [signature] |
| 8. | [illegible] | [illegible] | 593-35-81-99 | [signature] |
| 9. | [illegible] | UNDP | | [signature] |
| 10. | [illegible] | CENN | 577 46 51 46<br>599 55 55 12 | [signature] |
| 11. | | | | |

2

/

## ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

15 ნოემბერი 2018, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(სხდომაზე დამსწრე საბჭოს არაწევრი პირები)

| # | Name<br>სახელი, გვარი | Institution<br>ორგანიზაცია | Contact information/E-mail<br>საკონტაქტო ინფორმაცია/ელ-ფოსტა | Signature<br>ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|
| 1. | ვარშანიძე ზურა | [illegible] | varshanidzezura@gmail.com | |
| 2. | ვახტანგ გორდელაძე | PMCG / USAID GGI | vgordeladze@gmail.com | |
| 3. | ემზარ ქავჟარაძე | [illegible] | emzarkavzharadze71@gmail.com | |
| 4. | [illegible] | [illegible] | [illegible]batumi@gmail.com | |
| 5. | [illegible] | [illegible] | b.khalvashi@gmail.com | |

| # | Name<br>სახელი, გვარი | Institution<br>ორგანიზაცია | Contact information/E-mail<br>საკონტაქტო ინფორმაცია/ელ-ფოსტა | Signature<br>ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|
| 6. | [illegible] | [illegible] | 577 20 11 70<br>eteri.lornadze@Gmail.com | [signature] |
| 7. | [illegible] | [illegible] | 598 30.10.78. | [signature] |
| 8. | [illegible] | [illegible] | 577 30 20-26<br>a.grunidze@gmail.com | [signature] |
| 9. | [illegible] | [illegible] | [illegible] 8 33 51 57<br>[illegible]dze@batumi.ge | [signature] |
| 10. | [illegible] | [illegible] | 598 49 23 60<br>diana.gabelaia@gmail | [signature] |
| 11. | [illegible] | [illegible] | 577 24 27 30<br>e.heturidze@gmail.com | [signature] |
| 12. | [illegible] | [illegible] | 558 592000 | [signature] |
| 13. | [illegible] | [illegible] | 558 003129 | [signature] |
| 14. | [illegible] | Batumi CCE | 596 109 110 | [signature] |

**„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით**

შეხვედრა აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან

**შეხვედრის ჩატარების დრო:**
2018 წლის 12 დეკემბერი.

**შეხვედრის ჩატარების ადგილი:**
აჭარის ა.რ-ის სავაჭრო-სამრეწველო პალატა
მის: საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, ა. მელაშვილის 26

შეხვედრის მიზანი:
„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში მომზადებული ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის გაცნობა, ქალაქ ბათუმის ხედვაზე, პრიორიტეტებსა და სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება.

შეხვედრას ესწრებოდნენ:
თამაზ შავაძე - აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე;
ნათია სურმანიძე - აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის „ქალთა ოთახის" მენეჯერი.

შეხვედრაზე განხილული იქნა:
1. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია;
2. აჭარის არ-ის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ 2019-2020 წლებში დაგეგმილი ის აქტივობები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ბათუმის ეკონომიკურ განვითარებასთან და შეთანხმდა, რომ ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმაში აისახოს აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი ის ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ პასუხობს პროექტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და ხელს შეუწყობს ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას (მათ შორის: ყოველწლიური მეწარმე ქალთა ბიზნეს ფორუმი, თაფლისა და ზღვის პროდუქტების ფესტივალები, სისტემატიური ტრენინგები და ა.შ.);
3. აჭარის არ-ის სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობის არსებული პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები;
4. ქ. ბათუმში მოქმედი ბიზნეს სექტორისათვის საინტერესო და პრობლემატური საკითხები;
5. „ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმის" ბიზნეს სექტორთან განხილვის საკითხებინ და ბიზნეს სექტორთან შეხვედრის ორგანიზებაში აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის როლები.

შეხვედრაზე აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

აღნიშნული ღონისძიებები მიწოდებული იქნება პროექტის ოფიცრისთვის ერთი სამუშაო კვირის ვადაში.

**თამაზ შავაძე**
აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე

**ნათია სურმანიძე**
აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის „ქალთა ოთახის“ მენეჯერი

**ეთერ ლომაძე**
„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტის ოფიცერი

**დავით არძენაძე**
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის, მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

**„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით**

შეხვედრა ქ. ბათუმის ეკონომიკური განვითარების პროცესებით დაინტერესებულ მხარეებთან

**შეხვედრის ჩატარების დრო:**
2018 წლის 19 დეკემბერი.

**შეხვედრის ჩატარების ადგილი:**
სასტუმრო რედისონი
მის: საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, ეგნატე ნინოშვილის 1

**შეხვედრის მიზანი:**
„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში მომზადებული ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის გაცნობა, ეკონომიკის ანალიზისა და თემატური ბლოკების გაცნობა, ქალაქის გამოწვევებზე მსჯელობა, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გაცნობა თემატურ ბლოკებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, ადგილობრივი ეკონომიკის SWOT ანალიზზე მსჯელობა, ქალაქ ბათუმის ხედვაზე, პრიორიტეტებსა და სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება.

**შეხვედრას ესწრებოდნენ:**
1. ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, მეწარმეები;
2. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;
3. ბიზნეს ომბუდსმენის წარმომადგენლები;
4. საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლები;
5. სავაჭრო სამრეწველო პალატის წარმომადგენლები;
6. აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის წარმომადგენლები;
7. მოქალაქეები.

შეხვედრაზე „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ოფიცრის მიერ გაკეთდა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის პრეზენტაცია, პრეზენტაციის შემდეგ განხილული იქნა:
1. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია და მისი თემატური ბლოკები - გაიმართა მსჯელობა თემატურ ბლოკებში მოცემულ დასკვნებთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ; გამოიკვეთა პროფესიული სასწავლებლებისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიერ სამეწარმეო, ტექნიკური უნარჩვევების გაუმჯობესების მიმართულებით დამატებითი პროგრამების არსებობის საჭიროება;
2. მსჯელობის საგანი გახდა თემატური ბლოკი ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია. ამ კონკრეტული თემატური ბლოკის ფარგლებში ბიზნეს ომბუდსმენის ოფისისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ბიზნესის განვითარების მიმართულებით გამოწვევას წარმოადგენს შესაბამისი მუნიციპალური სერვისების მიღების გართულებული და ბიუროკრატიული პროცედურები, ელექტრონული სერვისების ნაკლებობა, კონსულტაციებისა და ინფორმაციის

ბიზნესის საჭიროება, ბიზნეს სექტორის მიერ სერვისების მიღების შეფერხების ფაქტორები და მათი ზეგავლენა ქალაქის ეკონომიკურ განვითარებაზე. განხილული იქნა ერთი ფანჯრის მომსახურების პრინციპის და გარკვეული სერვისების ელექტრონიზაციის საკითხები;
3. ეკონომიკური განვითარების პროცესებში საგანმანათლებლო დაწესებულებების (მათ შორის პროფესიული სასწავლებლების) როლი;
4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი, ხედვა და მიზნები;
5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმა 2019-2020 წლებისათვის შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებით.

შეხვედრის შედეგად შეთანხმდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ხედვა და მიზნები, თემატური ბლოკების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებები, მუნიციპალიტეტის მხრიდან ბიზნესის ხელშეწყობისათვის განსახორციელებელი ღონისძებები. შეხვედრის მონაწილეთა მხრიდან თოყოდებული იქნება შენიშვნები და რეკომენდაციები ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის სამუშაო ვერიასთან დაკავშირებით.

**ეთერ ლომაძე**
„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ოფიცერი

**დავით არძენაძე**
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის, მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

შეხვედრის სხვა მონაწილეთა ხელმოწერები თან ერთვის ოქმს დანართის სახით (დანართი 2 გვ.)

Mayors for
Economic Growth

## ქ. ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხილვის დამსწრეთა აღრიცხვის ბლანკი

ქ. ბათუმი, სასტუმრო რედისონი

19.12.2018

| # | სახელი გვარი | ორგანიზაცია | თანამდებობა | ტელეფონის ნომერი | ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | შპს [illegible] | დირექტორი | 577518749 | [signature] |
| 2 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 595541932 | [signature] |
| 3 | [illegible] | შპს [illegible] | დირექტორი | 595 266 100 | [signature] |
| 4 | [illegible] | შპს „[illegible] 2016" | [illegible] | 558 20 14 85 | [signature] |
| 5 | [illegible] | შპს „[illegible] 2016" | დირექტორი | 557-21-16-04 | [signature] |
| 6 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 597-81-00-61 | [signature] |
| 7 | [illegible] | შპს „[illegible]" | დირექტორი | 577104848 | [signature] |
| 8 | [illegible] | შპს „[illegible]" | [illegible] | 577 07.14.77 | [signature] |
| 9 | [illegible] | შპს „DAR BUILDING" | [illegible] | 577906036 | [signature] |
| 10 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 577 30-79-29 | [signature] |
| 11 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 599-53-49-60 | [signature] |
| 12 | [illegible] | CENN | [illegible] | 577 46 51 46 | [signature] |
| 13 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 558-36-70-20 | [signature] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | 568230055 | [signature] |

52

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 577 30 42 62 | [signature] |
| 15 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 557-37-84-18 | [signature] |
| 16 | [illegible] | შ.პ.ს. [illegible] | [illegible] | 555 39 27 33 | [signature] |
| 17 | [illegible] | შ.პ.ს. [illegible] | [illegible] | 577 19-06-53 | [signature] |
| 18 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 599199880 | [signature] |
| 19 | [illegible] | [illegible] -2000 | [illegible] | 593586527 | [signature] |
| 20 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 595 105 120 | [signature] |
| 21 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 599 43-10-50 | [signature] |
| 22 | [illegible] | [illegible] 2000 | [illegible] | 599 97 55 95 | [signature] |
| 23 | | | | | |
| 24 | | | | | |
| 25 | | | | | |
| 26 | | | | | |
| 27 | | | | | |
| 28 | | | | | |
| 29 | | | | | |

**„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით**

შეხვედრა სსიპ აჭარის არ დასაქმების სააგენტოსთან

**შეხვედრის ჩატარების დრო:**
2018 წლის 20 დეკემბერი.

**შეხვედრის ჩატარების ადგილი:**
აჭარის აჭარის არ დასაქმების სააგენტო
მის: საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 70/72

**შეხვედრის მიზანი:**
„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში მომზადებული ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის გაცნობა, ქალაქ ბათუმის ხედვაზე, პრიორიტეტებსა და სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება.

**შეხვედრას ესწრებოდა:**
თემურ კახიძე - აჭარის არ დასაქმების სააგენტოს დირექტორი;

შეხვედრაზე განხილული იქნა:

1. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, ადგილობრივი ეკონომიკისა და მისი შემადგენელი ნაწილების ანალიზის შედეგები, ხედვა, მიზნები და აქტივობები;
2. აჭარის არ დასაქმების სააგენტოსა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობის არსებული პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები, ის პროგრამები რომლებიც ხორციელდება ურთიერთთანამშრომლობით და მათი განვითარების პერსპექტივები;
3. აჭარის არ-ის აჭარის არ დასაქმების სააგენტოს მიერ 2019-2020 წლებში დაგეგმილი ის აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ასევე ამ მიმართულებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტსა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები;
4. ქ. ბათუმში მოქმედი ბიზნეს სექტორისათვის საინტერესო და პრობლემატური საკითხები.

შეხვედრაზე შეთანხმდა, რომ ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმაში აისახოს აჭარის არ აჭარის არ დასაქმების სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი, ასევე ბათუმის მუნიციპალიტეტთან ერთობლივად განსახორციელებელი ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ პასუხობს პროექტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და ხელს შეუწყობს ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას (მათ შორის: შრომის ბაზარზე ნაკლებადპრივილეგირებული პირების დასაქმების პროგრამები, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მომზადება-გადამზადების პროგრამები და ა.შ.);

შეხვედრის შედეგად გადაწყდა, რომ:

1. სააგენტოს გაეგზავნება ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის სამუშაო ვერიას;
2. სააგენტოს მხდიდან მოწოდებული იქნება ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომელიც მიმართულია ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისაკენ, კერძოდ დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით და რომლის განხორციელებასაც გეგმავს 2019-2020 წლებში სხვადასხვა დაინერესებულ მხარესთან, მათ შორის ბათუმის მუნიციპალიტეტთან ერთად.
3. სააგენტოს მხრიდან მოწოდებული იქნება შენიშვნები და რეკომენდაციები ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის სამუშაო ვერიასთან დაკავშირებით.

**თემურ კახიძე**
აჭარის არ დასაქმების სააგენტოს დირექტორი

**ეთერ ლომაძე**
„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტის ოფიცერი

**დავით არძენაძე**
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის, მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

**„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით**

შეხვედრა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ინოვაციურ ლაბორატორია FABLAB-თან

**შეხვედრის ჩატარების დრო:**
2018 წლის 24 დეკემბერი.

**შეხვედრის ჩატარების ადგილი:**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მის:  საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, ფიროსმანის 12

**შეხვედრის მიზანი:**
„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში მომზადებული ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის გაცნობა, ქალაქ ბათუმის ხედვაზე, პრიორიტეტებსა და სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება.

**შეხვედრას ესწრებოდნენ:**
თაზო ჩხარტიშვილი - ინოვაციური ლაბორატორია FABLAB-ის მენეჯერი.

შეხვედრაზე განხილული იქნა:

1. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია; თემატური ბლოკები, ხედვა და მიზნები.

2. ინოვაციურ ლაბორატორია FABLAB-ის საქმიანობების სფეროები.ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები. ძირითად გამოწვევად დასახელდა ახალგარდების მხრიდან ინტერესის კლების ტენდენცია, რაც შესაძლოა გამოწვეული იქნეს დაბალინფორმირებულობით, FABLAB-ის ტექნიკური აღჭურვილობის საჭიროება, ფინანსური რესურსების შეზღუდული ხელმისაწვდომობა ამ მიმართულებით. შეთანხმდა რომ FABLAB-ის უფლებამოსილების ფარგლებში სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისათვის ინოვაციური უნარების განვითარების მიმართულებით გათვალისწინებული იქნეს აქტივობები, რომელსაც FABLAB აფინანსებს და აქტივობები, სადაც საჭიროა დონორების მხარდაჭერა.

3. შეხვედრაზე ასევე განხილული იქნა ბიზნეს სექტორისთვის კადრების გადამზადების საჭიროება თანამედროვე ტექნოლოგიების სწორი ექსპლუატაციის კუთხით: ტექნოპარკის მოწყობის საკითხები, რომელიც განთავსდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ შენობაში და ორიენტირებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების სწავლებაზე, სტარტაპერებისთვის შესაძლებლობების გაძლიერებაზე (მოხდება მათთვის პროტოტიპების დამზადებაში ხელშეწყობა, სხვადასხვა ტიპის გამოფენა-გაყიდვებში

ჩართვა, ინვესტორებთან კომუნიკაციის დამყარებაში დახმარება, სასწავლო პროგრამების დანერგვა);

4. ქ. ბათუმის მერიასთან ერთად ისეთი ერთობლივი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობები, როგორიცაა ქ. ბათუმზე მორგებული ურბანული ელემენტის პროტოტიპის დიზაინის შექმნის კონკურსები. მაგ: გაჩერება, ველოსიპედის პარკინგი, სანავიგაციო ნიშნები, განათების ბოძები, სკამი, გარე სამუშაო სივრცე და ა.შ., რომელიც როგორც ვიზუალურად, ასევე ფუნქციურად მოერგება დღევანდელი ქალაქის პრობლემატიკას ან შეიტანს ინოვაციურ მიდგომას ქალაქის კეთილმოწყობასა და განვითარებაში.

**თაზო ჩხარტიშვილი**
ინოვაციური ლაბორატორია FABLAB-ის მენეჯერი

**დავით არძენაძე**
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის, მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

**„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით**

შეხვედრა შავი ზღვის საერთაშორისო კოლეჯ გოლდენ სიი-სთან

**შეხვედრის ჩატარების დრო:**
2018 წლის 24 დეკემბერი.

**შეხვედრის ჩატარების ადგილი:**
შავი ზღვის საერთაშორისო კოლეჯი გოლდენ სიი
მის: საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადებულის 49

**შეხვედრის მიზანი:**
„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში მომზადებული ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის გაცნობა, ქალაქ ბათუმის ხედვაზე, პრიორიტეტებსა და სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება.

**შეხვედრას ესწრებოდა:**
ლეილა გოგიტიძე - შავი ზღვის საერთაშორისო კოლეჯ გოლდენ სიი-ს დირექტორი;
დავით არძენაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის, მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

შეხვედრაზე განხილული იქნა:

1. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია; თემატური ბლოკები; ხედვა, მიზნები და სამოქმედო გეგმა.

2. პროფესიულ სასწავლებლებსა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობის არსებული პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები და მათი განვითარების პერსპექტივები;

3. დუალური განათლების მნიშვნელობა ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარებისთვის;

4. განხილული იქნა ის ღონისძიებები, რომლებიც პასუხობს პროექტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და ხელს შეუწყობს ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას (მათ შორის: შრომის ბაზარზე ნაკლებადპრივილეგირებული პირების დასაქმების პროგრამები, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მომზადება-გადამზადების პროგრამები და ა.შ.);

5. დუალური განათლების პროგრამაში „ბათუმის ისტორიული განაშენიანების საზღვრების ეზოებში კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერის“ პროგრამის ბენეფიციართა ჩართულობის უზრუნველყოფის შესაძლებლობები და მექანიზმები.

**ლეილა გოგიტიძე**
შავი ზღვის საერთაშორისო კოლეჯ გოლდენ სიი-ს დირექტორი

**დავით არძენაძე**
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის, მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

**„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით**

ბათუმის ბიზნეს ინკუბატორთან

**შეხვედრის ჩატარების დრო:**
2018 წლის 25 დეკემბერი.

**შეხვედრის ჩატარების ადგილი:**
ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი
მის: საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის 73

**შეხვედრის მიზანი:**
„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში მომზადებული ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, ქალაქ ბათუმის ხედვაზე, პრიორიტეტებსა და სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება.

**შეხვედრას ესწრებოდნენ:**
კახა შავაძე - ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის დირექტორი;

**დავით არძენაძე** - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის, მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

შეხვედრაზე განხილული იქნა:

1. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია: თემატური ბლოკები, ხედვა, მიზნები და სამოქმედო გეგმა.
2. ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის მიერ განხორციელებული აქტივობები, ბიზნეს ინკუბატორის საქმიანობა და გამოწვევები. აღინიშნა, რომ საოფისე ფართებზე მოთხოვნა სეზონური ხასიათისაა და ძირითადად მომსახურების სფეროში მომუშავე ბიზნესის მხრიდან.
3. საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნისათვის ტენიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადებაში ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის ჩართულობის საკითხები.

ბაზარზე მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე, ინკუბატორი გეგმავს საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას და ამ მიზნით დონორების მხარდაჭერის იმედი აქვს. კერძოდ, ინოვაციის მხარდასაჭერად ინკუბაციის ახალი მიმართულების შესაბამისი ინფრასტრუქტურის (IT მიმართულების) განვითარების და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადების საკითხებში.

შეთანხმდა, რომ ბათუმის მდგრადი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმაში აისახოს ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის საქმიანობები საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების მხრივ ბიზნესის

მხარდაჭერაში, რომელსაც როგორც საკუთარი, ისე დონორების მხრიდან მოზიდული ფინანსური რესურსით განახორციელებს.

**კახა შავაძე**
ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის დირექტორი

**დავით არძენაძე**
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის, მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

Mayors for Economic Growth

## ქ. ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის წარდგენა
## დამსწრეთა აღრიცხვის ბლანკი

ქ. ბათუმი, სასტუმრო რედისონი

11.01.2019

| # | სახელი გვარი | ორგანიზაცია | თანამდებობა | ელ.ფოსტა | ტელეფონის ნომერი | ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | andriadze1969@gmail.com | 577444224 | |
| 2 | [illegible] | [illegible] | [illegible] | gocha.begu@gmail.com | 577 09 90 45 | |
| 3 | [illegible] | [illegible] | [illegible] | zurabnakaidze@gmail.com | 599737878 | |
| 4 | [illegible] | [illegible] | [illegible] | sutebidze@gmail.com | 577 56 6968 | |
| 5 | [illegible] | [illegible] | [illegible] | aslan.bortkifanidze@gmail.com | 577 30-79-29 | |
| 6 | [illegible] | [illegible] | [illegible] | JEMAL198511@gmail.com | 595084141 | |
| 7 | [illegible] | [illegible] | [illegible] | Nataliaroidze@gmail.com | 595-10-33-64 | |
| 8 | [illegible] | [illegible] | [illegible] | maiadzirkvadze4@gmail.com | 57795 44 24. | |
| 9 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 599-57-49-60 | |
| 10 | [illegible] | [illegible] | [illegible] | Lela Kbarantiradze-m | 595 21-10-64 | |

Mayors for Economic Growth

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | მაია მურუსიძე | [illegible] | [illegible] | maia.murusidze@welmondhotels.com | 558 15 39 39<br>577 262661 | [signature] |
| 12 | ნათია სურმანიძე | [illegible] "Tour maker" | [illegible] | surmanidze.natia12@gmail.com | 577 72 29 32 | [signature] |
| 13 | [illegible] | შპს განათლება+ | დირექტორი | ganatleba1@yahoo.com | 593901600 | [signature] |
| 14 | [illegible] | [illegible] | [illegible] | sopho2696@Gmail.com. | 577 98 39 48 | [signature] |
| 15 | [illegible] | შპს "[illegible]" | [illegible] | smilestudio103@gmail.com | 595 541932 | [signature] |
| 16 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 577 10 48 48 | [signature] |
| 17 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible]@mail.ru | 577 09 90 47 | [signature] |
| 18 | დავით მახარაძე | [illegible] | [illegible] | dmakharadze75@gmail.com | 555 520 505 | [signature] |
| 19 | [illegible] | [illegible] | [illegible] | LG@intellect.org.ge | 599507895 | [signature] |
| 20 | თამარ კახიძე | შპს "[illegible]" | დირექტორი | tamarkakhidze@gmail.com | 577 304262<br>599 397 397 | [signature] |
| 21 | [illegible] | [illegible] | [illegible] | n.bokuchava@[illegible].ge | 599 03 01 46 | [signature] |
| 22 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible]@gmail.com | 572445144 | [signature] |
| 23 | [illegible] | [illegible] | [illegible] | adjareli@hotmail.com | 577 468856 | [signature] |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 24 | [illegible] | [illegible] | [illegible] | edhau bolkvadze @gmail.com | 599253047 | [signature] |
| 25 | [illegible] | [illegible] | [illegible] | doscapitalltd gmail.com | 551815757 | [signature] |
| 26 | [illegible] | [illegible] | | | | |
| 27 | [illegible] | [illegible] 2016 | [illegible] | Atinati-atinati @mail.ge | 557211604 | [signature] |
| 28 | [illegible] | [illegible] 2016 | [illegible] | Mari.Lortkipanidze @mail.ru | 574715885 | [signature] |
| 29 | ნინო ბეჟანიძე | [illegible] | [illegible] | n.bezhanidze @[illegible] | | [signature] |
| 30 | ხათუნა ბოლქვაძე | [illegible] | [illegible] | Xatuna.Bolkvadze @Gmail.com | | [signature] |
| 31 | თამარ კაიკაციშვილი | [illegible] | [illegible] | tamar.kaikatsishvili@ gmail.com | 577242427 | [signature] |
| 32 | [illegible] | [illegible] | [illegible] | koragvelidze@bit.ge | 577172717 | [signature] |
| 33 | ჯუმბერ ტუღუში | [illegible] | [illegible] | jumber.tugushi@ gmail.com | 599416221 | [signature] |
| 34 | [illegible] კოპალეიშვილი | [illegible] ML A | [illegible] | p.kopaleishvili @gmal.com | 568-40-60-45 | [signature] |
| 35 | Saim YEŞILDAĞ | Business Line Ltd. | Direktor | Saimbatumi@ gmail.com | 592253548 | [signature] |
| 36 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible]@ [illegible] | 574.06.08.57 | [signature] |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 37 | [illegible] | Vanzik Agro Group | info@vanzik.com | —/ | [illegible] | [illegible] |
| 38 | | | | | | |
| 39 | [illegible] | [illegible] | Etavaraniidze@gmail.com | 577-57-12-77 | | [illegible] |
| 40 | ნათია [illegible] | [illegible] | [illegible] | 599 777 765 | natia@civilin.org | [illegible] |
| 41 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 577 210 410 | | [illegible] |
| 42 | [illegible] | [illegible] 2000 | | 577 544424 | ceo@eti2000.ge | [illegible] |
| 43 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 599 960888 | manahabolqvadze1986@gmail.com | [illegible] |
| 44 | [illegible] | „[illegible]" | [illegible] | 599182340 | marahitoura@gmail.com | [illegible] |
| 45 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 591 989376 | ~~dato6mt~~ david.Ardzenadze@batumi.ge | [illegible] |
| 46 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 577 080992 | rchorchadze17@gmail.com | [illegible] |
| 47 | [illegible] | [illegible] | [illegible] | nubakhtadze@yahoo.de | 599 407 420 | [illegible] |
| 48 | | | | | | |
| 49 | | | | | | |

დანართი 10. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის სტეიკჰოლდერებთან განხილვის ამსახველი ფოტო-მასალა




















დანართი 11. ვიდეო-ლინკები

1. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის სამუშაო ვერსიი წარდგინება დაინტერესებულ მხარეებთან: https://bit.ly/2AJy8Jw
2. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის სამუშაო ვერსიი წარდგინება დაინტერესებულ მხარეებთან: https://bit.ly/2TM4ZEH / https://bit.ly/2HbfeRG
3. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის საბოლოო წარდგინება დაინტერესებულ მხარეებთან: https://bit.ly/2TM3XZl
4. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სატელევიზიო წარდგენა: https://bit.ly/2VQXI8s

დანართი 12. ქ. ბათუმის მოსახლეობის დინამიკა, 2012-2018




დანართი 13. ქ. ბათუმის მოსახლეობა, ასაკისა და სქესის მიხედვით, 2014 წელი



დანართი 14. მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ქ. ბათუმში (იურ. მისამართით)




დანართი 15. კერძო სექტორის მიერ ბათუმის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა დარგების მიხედვით (აშშ დოლარი)



დანართი 16. მშენებლობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა (აშშ დოლარი)




დანართი 17. ტურიზმის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა (აშშ დოლარი)



დანართი 18. მრეწველობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა (აშშ დოლარი)




დანართი 19. ბათუმის ბიუჯეტიდან სახელმწიფო შესყიდვებით ხელმისაწვდომი თანხები (GEL)



დანართი 20. საერათაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები ქ. ბათუმში

| # | ქვეყანა | 2017 | წილი |
|---|---|---|---|
| 1 | თურქეთი | 693217 | 53,00% |
| 2 | აზერბაიჯანი | 164664 | 12,59% |
| 3 | რუსეთი | 89276 | 6,83% |
| 4 | ირანი | 65592 | 5,01% |
| 5 | ისრაელი | 47625 | 3,64% |
| 6 | უკრაინა | 31785 | 2,43% |
| 7 | სომხეთი | 15413 | 1,18% |
| 8 | ბელარუსი | 13859 | 1,06% |
| 9 | საუდის არაბეთი | 11762 | 0,90% |
| 10 | ყაზახეთი | 7998 | 0,61% |
| 11 | სხვა დანარჩენი | 166778 | 12,75% |
| | ჯამი: | **1 307 969** | **100%** |

დანართი 21. ქ. ბათუმში ლიცენზირებული მოქმედი კომერციული ბანკები

| # | ბანკი | ტელეფონი | ვებგვერდი |
|---|---|---|---|
| 1 | სს „თიბისი ბანკი“ | (995 32) 2  272 727 | www.tbcbank.com.ge |
| 2 | სს „საქართველოს ბანკი“ | (995 32) 2 444 444 | www.bog.ge |
| 3 | სს "ლიბერთი ბანკი“ | (995 32) 2 555 505 | www.libertybank.ge |
| 4 | სს "ბაზისბანკი" | (995 32) 2 921 921 | www.basisbank.ge |
| 5 | სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია" | (995 32) 2 242 424 | www.vtb.com.ge |
| 6 | სს „ბანკი ქართუ“ | (995 32) 2 925 592 | www.cartubank.ge |
| 7 | სს „პროკრედიტ ბანკი“ | (995 32) 2 202 222 | www.procredibank.ge |
| 8 | სს „სილქ როუდ ბანკი“ | (995 32) 2 242 242 | www.bta.ge |
| 9 | სს „ზირაათ ბანკი საქართველო" | (995 32)2 943 714 | www.ziraatbank.ge |
| 10 | სს "იშ ბანკი საქართველო” | (995 32) 2 310 515 | www.isbank.ge |
| 11 | სს "ტერაბანკი" | (995 32) 2 255 000 | www.terabank.ge |
| 12 | სს "ხალიკ ბანკი საქართველო" | (995 32) 2 240 707 | www.halykbank.ge |
| 13 | სს “ფინკა ბანკი საქართველო“ | (995 32) 2 207 410 | www.finca.ge |
| 14 | სს „კრედო ბანკი“ | (995 32) 2 424 242 | www.credo.ge |

დანართი 22. პროგრამა "აწარმოე საქართველოში"ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში, ბათუმში განხორციელებული პროექტები

| ბენეფიციარი | ს/კ | გაცემული სუბსიდია | სექტორი |
|---|---|---|---|
| შპს ჯეტონგი | 445461125 | 73 644 | სამშენებლო მასალები |
| შპს ნუკოლ-ჯგუფი | 245560655 | 98 294 | სამშენებლო მასალები |
| შპს ხახუტა | 246755676 | 144 369 | სამშენებლო მასალები |
| შპს ჯი და ჯი ქოოფერეიშენ | 204554874 | 77 976 | სასმელები და სასმელი |
| შპს ანთ გრუპ | 448403479 | 74 805 | სამშენებლო მასალები |
| შპს „გოდე2014“ | 445449667 | 111 655 | ფარმაცევტიკა და ქიმიური წარმოება |

დანართი 23. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ორგანიზაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმები

| № | ორგანიზაცია | ხელმოწერის თარიღი | თანამშრომლობის საფუძველი |
|---|---|---|---|
| 1 | როსტოკის ზოოლოგიური ბაღი - ბათუმის ბოტანიკური ბაღი | 19/10/2012 | დამეგობრებისა და თანამშრომლობის მემორანდუმი |
| 2 | შპს კავკასიის უნივერსიტეტი | 06/12/2014 | თანამშრომლობა იურიდიული განათლების სფეროში |
| 3 | გენდერული თანასწორობის ქსელი | 29/01/2015 | თანამშრომლობა გენდერული თანასწორობისთვის |
| 4 | სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 03/2015 | თანამშრომლობის მემორანდუმი ეკოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ |
| 5 | - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან ერთად „ICMA” და „CENN“;<br>- აშშ-ს კოლორადოს შტატის ქ. გოლდენი | 12/03/2015 | ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები |
| 6 | სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი | 26/03/2015 | თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება |
| 7 | - გაეროს განვითარების პროგრამა;<br>- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 05/08/2015 | ურთიერთგაგების მემორანდუმი |
| 8 | - USAID;<br>- GGI | 17/06/2015 | ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი |
| 9 | ა (ა) ი პ 'სოციალური დაცვის ლიგა' | 31/07/2015 | ახალგაზრდების და შშმ პირების საარჩევნო უფლებების დაცვა |
| 10 | - დუბლინის პორტი , ირლანდია;<br>- ბათუმის საზღვაო პორტი | 08/07/2015 | ურთიერთგაგების მემორანდუმი |
| 11 | ბათუმის ახალგაზრდული მერია | __________ | ურთიერთგაგება და თანამშრომლობა |
| 12 | კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადების“ დამფუძნებელი ლიანა ისაკაძე | 08/24/2015 | ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი |
| 13 | იორ-ფორესთი | 30/09/2016 | ქალაქის კლიმატური ქსელის განვითარება |

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 | სსიპ-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო | 2016 | დასაქმების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობის შესახებ |
| 15 | აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 29/12/2017 | ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირების ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე |
| 16 | საზოგადოება ბათომი | 04/5/2018 | ურთიერთანამშრომლობა ისტორიული განაშენიანების ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის რეალიზაციის მიმართულებით |

## დანართი 24. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
სავაჭრო-სამრეწველო პალატა

ა. მელაშვილის ქ. 26. ბათუმი. 6000. საქართველო
ტელ: 00 995 422 27 28 41
ელ-ფოსტა: ajarachamber@gmail.com
ვებ-გვერდი: www.acci.ge
ს/კ: 245 400 864

№ [illegible]

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAMBER OF COMMERCE AND INDUSTRY

A.Melashvili Str. #26, Batumi 6000, Georgia
Tel.: 00 995 422 27 28 41
E-mail: ajarachamber@gmail.com
Web: www.acci.ge
I/C: 245 400 864

„19" - 12 2018

ბათუმის მერს

ბატონ ლაშა კომახიძეს

ბატონო ლაშა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ამა წლის 12 დეკემბერს გაიმართა სამუშაო შეხვედრა თვითმმართველი ქალაქი ბათუმის მერიის პოლიტიკის დაგეგმვის სამსახურსა და აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის „ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით". სამუშაო შეხვედრაზე განხილული იყო ქ. ბათუმში ბიზნესის განვითარების საკითხებზე ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმები.

შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც უზრუნველყოფს განვითარების საკითხებზე ერთობლივად მუშაობის პროცესების ორგანიზებულობას და ქ. ბათუმის ბიზნეს სექტორის განვითარების ხელშეწყობას.

გაცნობებთ, რომ მზად ვართ გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და გთხოვთ დავიწყოთ შემდგომი პროცედურები.

პატივისცემით,

თავმჯდომარე: თამაზ შავაძე

34096/25
19 12 18

## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ბატონი ლაშა კომახიძის სახით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა წარმოდგენილი თავმჯდომარის ბატონი თამაზ შავაძის სახით, შემდგომში მხარეებად წოდებულნი, კეთილი ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, გამოთქვამენ სურვილს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ და თანხმდებიან შემდეგზე:

### 1. მემორანდუმის მიზანი და მოქმედების სფერო

1. მემორანდუმის მიზანია, მხარეთა საერთო ინტერესების (კანონით/წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების) გათვალისწინებით, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.
2. მხარეები მიზანმიმართული და ურთიერთშეთანხმებული თანამშრომლობით ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დონორ და საფინანსო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ინიცირებას, არსებული ურთიერთობების გაღრმავებას, მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარებას, შესაბამის სფეროში დაინტერესებულ პირთა (მეწარმეების) ცნობიერების ამაღლებასა და გამოცდილების გაზიარებას.

### 2. მხარეთა თანამშრომლობის ფორმები

1. მემორანდუმის ფარგლებში მხარეები დაამყარებენ და გააღრმავებენ კავშირებს:

1.1. ინვესტიციების ზრდის და საერთაშორისო არეალზე ქალაქის ცნობადობის გაზრდის მიმართულებით:
   - ეკონომიკური განვითარების საკითხებზე საერთაშორისო და ადგილობრივი ფორუმების ორგანიზება;
   - თემატური სამეწარმეო ფესტივალების, გამოფენებისა და კონფერენციების ორგანიზება და ჩატარება;
   - საერთაშორისო ფორუმებზე წარსადგენი ერთობლივი პროდუქტების შემუშავება;
   - ქ. ბათუმის საინვესტიციო კატალოგის შემუშავებაში მონაწილეობა.

1.2. ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და დასაქმების სტიმულირების მიმართულებით:

- მეწარმეობის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეთა განვითარების ხელშეწყობა, მეწარმეებისა და პოტენციური მეწარმეების ინფორმირების ამაღლება, სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებში მათი ჩართულობის გაზრდისა და პოტენციურ მეწარმეთა შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა;
- საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები, მათ შორის ადგილობრივი ეკონომიკური (მეწარმეობის) განვითარების ხელშეწყობისა და მხარდაჭერისათვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავების მიზნით;
- ბიზნეს სექტორთან მუდმივი კონსულტაციების საფუძველზე ბიზნეს სექტორის პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლა, ქალაქის ეკონომიკის განვითარებვის მათი ხედვების შესწავლა.

1.3. სამეწარმეო უნარების განვითარების მიმართულებით:

- ბიზნეს და სამეწარმეო უნარებზე ტრენინგ-სემინარების ჩატარება და კონსულტაციების გაწევა (მათ შორის ბათუმის ისტორიული განაშენიანების საზღვრების ეზოებში კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერის ბენეფიციარებისთვის);
- მეწარმეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სამიზნე ჯგუფებისთვის.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია გამოთქვამს მზადყოფნას მემორანდუმის ფარგლებში პროექტის/პროექტების განხორციელებისას უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა სათანადო ინფორმაციით და აღმოუჩინოს მას შესაბამისი ტექნიკური და საინფორმაციო მხარდაჭერა.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა გამოთქვამს მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილი პროექტების განხორციელებაში, ასევე, მემორანდუმის ფარგლებში პროექტის/პროექტების განხორციელებისას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოს სათანადო ინფორმაციით და აღმოუჩინოს მას შესაბამისი ტექნიკური და საინფორმაციო მხარდაჭერა.

**3. მემორანდუმის მოქმედების ვადა**

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
2. მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ მეორე მხარისათვის 30 კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

**4. დასკვნითი დებულებები**

1. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად ქართულ ენაზე.

2. წინამდებარე მემორანდუმი ხელმოწერილია ქ. ბათუმში, 2018 წლის 28 დეკემბერს.

3. თითოეულ მხარესთან ინახება ხელმოწერილი მემორანდუმის ტექსტის თითო ეგზემპლარი.

| | |
|---|---|
| ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე |
| ............................ ლაშა კომახიძე | ............................ თამაზ შავაძე |

დანართი 25. საერთაშორისო რეიტინგები

